ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 18 ოქტომბერი, 2021 №195 (8724) ფასი: 60 თეთრი

## „სინოვაკითა და სინოფარმით აცრილებს ბუსტერი დოზა არ სჭირდებათ“

გვ.4



# „ნაციონალების გამარჯვება „ოცნებას“ შიგნიდან დაანგრევს, სააკაშვილი გმირი გამოვა“



თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ყოფილი წევრები ახლა აქტიურობენ და მიშას იცავენ“

გვ.2



## „თუ „ოცნება“ ნაციონალებით ჩანაცვლდა, სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება“

სალომე სამადაშვილი: „სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება შიდაპოლიტიკურ კონფლიქტს გააღრმავებს“

გვ.3



## „სააკაშვილმა თავის პარტიას ხმები შესძინა, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ უფრო მოუმატა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „შარლ მიშელის გზა მცდარი აღმოჩნდა“

გვ.4





გვ.4

თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილს სასაცილო ბრალდებები აქვს წაყენებული“

## „14 ოქტომბრის გრანდიოზული აქცია 14 აპრილის აქციას მაგონებს“

ადვოკატ თოდუას განცხადება



## „13 წლის გოგონას 53 წლის ბაბუის მიერ გაუპატიურების ფაქტი ექსპერტიზამ ვერ დაადგინა“

გვ.5



## სიკვდილი ძილში: თბილისში ახალგაზრდა დები ფენტალინით გარდაიცვალნენ

ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 ამირან გამყრელიძე: „თუ აცრების რაოდენობა ვერ ავწიეთ, ნოემბერში ისევ დაკეტვა მოგვიწევს“

2 კალაძე: „მიშა იმყოფება იქ, სადაც უნდა იყოს“

5 რუსთავის ციხეში დაღუპული პატიმრები რომან ქრისტესიაშვილი და ილია ხიპაშვილი სამეურნეო ნაწილში მუშაობდნენ

6 პუტინისა და ზელენსკის შეხვედრის პერსპექტივა ჯერჯერობით არ არსებობს

# „ნაციონალების გამარჯვება „ოცნებას“ შიგნიდან დაანგრევს, სააკაშვილი გმირი გამოვა“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ყოფილი წევრები ახლა აქტიურობენ და მიშას იცავენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.



***– ბატონო თორნიკე, გასულ კვირას, ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით, ლოზუნგით „თავისუფლება მიშას“ ხალხმრავალი აქცია გაიმართა. გვესმოდა შეფასებები, რომ ვერ გამოიყვანენ ხალხს და ასე შემდეგ, თუმცა საპირისპირო ვნახეთ. რა გვაჩვენა ამ აქციამ?***

– ბევრი ხალხი გამოვიდა, რა თქმა უნდა. როგორც ჩანს, ნაცმოძრაობამ მოახდინა სრული მობილიზაცია და სრული მობილიზაციის პირობებში მათ შეუძლიათ ხალხის გამოყვანა. რამდენად შენარჩუნდება ახლა ეს მუხტი და რამდენად წაადგებათ მათ მეორე ტურში, სხვა თემაა. ვერ დავიჩემებ, კი ან არა. ამის მიუხედავად, სააკაშვილს რომ არ გამოუშვებენ, მშვენივრად ვიცით. ასე ვთქვათ, მორალურად მათთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი მომხრეების შესაგულიანებლად, თვითონ სააკაშვილის შეგულიანებისთვისაც, თუმცა, რა გავლენა ექნება მეორე ტურზე, ამას რეალურად 30-ში ვნახავთ. ნაცმოძრაობას თბილისში მოგების შანსი მაინც არ გააჩნია. თბილისში ყველაზე მეტად არის შენარჩუნებული ნაცმოძრაობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. მიშას ხელი ყველაზე მეტად თბილისს შეეხო, თორემ პერიფერიებს – ნაკლებად.

***– ამ შეკრებით უფრო დააფრთხეს ამომრჩეველი და უფრო დაკარგავენ ხმებსო, ამ შეფასებას რამდენად იზიარებთ?***

– არ ვიცი, რთული სათქმელია. არა მგონია, ასე იყოს. მორალურად მათთვის მნიშვნელოვანი იყო ეს აქცია, თუნდაც მიშას გამხნევებისათვის. მათთვის მთავარია, მეორე ტურისთვის მორალურად კარგად იყვნენ. მეორე ტურამდე ჯერ შორია, კიდევ ორი კვირაა. მთავარი კითხვაა, მეორე ტურისთვის ეს რამდენად გამოადგებათ? ხალხი გამოვიდა, კი და იქ იყო ის მასა, რომელსაც მართლა მოსწონს ნაცმოძრაობა. ნაწილობრივ იქ იყო მობილიზებული ხალხი, ჩამოყვანილი რეგიონებიდან და ნაწილობრივ იყო ნაცმოძრაობის ერთგული ამომრჩეველი.

***– მიშას პირადი მხარდამჭერებიც, ალბათ.***

– რა თქმა უნდა, რომლებიც სულ დადიან აქციებზე. ისინი ბევრნი არ იკრიბებიან ხოლმე, მაგრამ მობილიზაციის პირობებში ბევრის შეკრება მოხერხდა. საკითხავია, ეს მხარდამჭერები ამის მერე რას იზამენ? შეიკრიბნენ მიტინგზე და დაიშალნენ. მერე რა ხდება? აი, ეს არის საკითხავი. ახლა 2003 წელი არ არის, რომ ამ მიტინგით ქვეყანა გადაატრიალო.

***– ამით მიშას უფრო აჩვენეს, ჩვენ შენ გვერდით ვართ და ვითხოვთ შენს გათავისუფლებასო. ასეა?***

– კი, ასეა. მით უმეტეს საჭირო იყო ეს მას შემდეგ, რაც ციხესთან გამართეს რაღაც საცოდავი აქცია. მაშინ ათასი კაციც ვერ მიიყვანეს. იმ სამარცხვინო აქციის შემდეგ ნამდვილად საჭირო იყო დიდი მიტინგის გამართვა და უფრო ამიტომ მოინდომეს.

***– ასევე აქტიურად საუბრობენ სააკაშვილსა და ნიკა მელიას შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ამაზე რას იტყვით?***

– არა მგონია, ახლა დაპირისპირების დრო იყოს. მათ შორის დაპირისპირება რომც იყოს, არა მგონია, ამან სერიოზული სახე მიიღოს. როცა პარტია ბრძოლაშია ჩართული, ეს ორივეს მხრიდან დიდი სისულელე იქნება. როცა ამბობენ, რომ მელია წინააღმდეგი იყო მიშას ჩამოსვლის, შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მტრები არიან, უბრალოდ, განსხვავებული შეხედულებები აქვთ რაღაცებზე და მორჩა. ხომ შეიძლება, პარტიის შიგნით განსხვავებული შეხედულებები არსებობდეს? ეს საქართველოში არ არის მიღებული, თორემ სრულიად ნორმალურია, როცა პარტიის შიგნით განსხვავებული შეხედულებებია.

***– ბატონო თორნიკე, ფაქტია, რომ მეორე ტურამდე მიშას არავინ გამოუშვებს ციხიდან. რა იქნება მერე? საქართველოს ამერიკის თავდაცვის მდივანი სტუმრობს და სააკაშვილის დაპატიმრების საკითხი არც კი უხსენებია, საერთოდ არ შეხებია ამ საკითხსო.***

– გასაგებია, ან რატომ უნდა შეეხოს ამერიკის თავდაცვის მდივანი. ის სულ სხვა თემაზე იყო ჩამოსული. არანაირად არ არის მისი საქმე და მანდატი ეს საკითხი. ბევრი შეთქმულების თეორია ვრცელდება, მაგრამ არ არის საქმე ასე.

***– ნაციონალები და მიშას მხარდამჭერები ელოდნენ, რომ დასავლეთიდან მწვავე განცხადებები გაკეთდებოდა, სააკაშვილის გათავისუფლებისკენ მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, მაგრამ ასე არ მოხდა.***

– ყველამ კარგად იცოდა, რომ თუ ჩამოვიდოდა, აუცილებლად ჩასვამდნენ ციხეში. ეს ყველამ იცოდა, მათ შორის მიშამაც. ჩამოსვლამდე მიშა შეხვდა ევროპარლამენტარებს და ამერიკაშიც ჰქონდა შეხვედრები. ამერიკაში რა უთხრეს, არ ვიცი, მაგრამ ევროპარლამენტარებმა თავიანთი პირით თქვეს, ჩვენ გავაფრთხილეთ, არ ჩასულიყო საქართველოშიო, ანუ ისინი მისი ჩამოსვლის წინააღმდეგნი იყვნენ. მიშამ არ დაუჯერა. სწორად მოიქცა თუ არასწორად, ეს გამოჩნდება. თვითონვე ეუბნეოდნენ, არ ჩახვიდეო და ახლა როგორ დაიცავენ. ვიღაცები გამოჩნდებიან, ვინც დაიცავენ, მაგრამ ეს დარჩება ინდივიდუალურ განცხადებებად და არ იქნება არც ერთი სახელმწიფოს პოზიცია, რომ გაათავისუფლონ. გაათავისუფლეთ რას ნიშნავს? ანუ გამოდის, რომ განაჩენი, რომელიც დადგა, არის უსამართლო?! მაშინ აქამდე სად იყვნენ, რატომ მანამდე არ გააპროტესტეს ეს განაჩენი? ეს განაჩენი წაღებულია სტრასბურში. თუ სტრასბური იტყვის, რომ უსამართლოა, კი ბატონო, მაშინ გაუშვებენ.

***– ერთადერთი, უკრაინას შეუძლია, იყოს უფრო აქტიური, რადგან მისი მოქალაქეაო. ასეა?***

– უკრაინასაც რომ ვუყურებთ, მხოლოდ ერთი განცხადებით შემოიფარგლა. ზელენსკიმ განაცხადა, მე ვიზრუნებ ჩემი მოქალაქეების დაბრუნებაზეო. დამთავრდა, ამის იქით არ წასულა. პლუს ამას უკრაინის საზღვარიც უკანონოდ აქვს გადაკვეთილი და უკრაინას, უნდა თუ არ უნდა, ისიც იძულებული იქნება, ცალკე საქმე აღძრას. მოკლედ, რთულადაა საქმე და, საბოლოო ჯამში, მივდივართ ერთ შეკითხვამდე: გაიმარჯვებს თუ არა ნაცმოძრაობა მეორე ტურში? თუ ბევრგან გაიმარჯვებს, მაშინ სიტუაცია სერიოზულად შეიცვლება, თუ არ გაიმარჯვებს, მაშინ მიშას მოუწევს ციხეში ჯდომა რაღაც პერიოდი და მერე, ჩემი აზრით, მისი ექსტრადირება მოხდება უკრაინაში.

***– რას ელოდებით მეორე ტურში? დიდი მნიშვნელობა აქვს, საით წავა გახარიას ხმებიო. ის კი აცხადებს, რომ არც ერთს არ დაუჭერს მხარს, თუმცა, იქვე იმასაც ამბობს, რომ მიშა სამართლიანად ზის ციხეში.***

– გასაგებია, გახარიას ამომრჩეველი მისი განცხადების შემდეგ ნაცმოძრაობას მხარს არ დაუჭერს არავითარ შემთხვევაში. ბუნებრივია, ეს ამცირებს ნაცმოძრაობის შანსებს მეორე ტურში. თუმცა დასავლეთ საქართველოში არის რაღაც შანსები, ზუგდიდსა და ბათუმში. თბილისში ნაცმოძრაობის გამარჯვება, ჩემი აზრით, გამორიცხულია. რომ წარმოვიდგინოთ სხვა სცენარი, რამ შეიძლება შეცვალოს მიშას მდგომარეობა? ეს იქნება მეორე ტურში რაც შეიძლება ბევრ ქალაქში გამარჯვება, მათ შორის თბილისში. ეს რადიკალურად ცვლის სიტუაციას და ანგრევს „ოცნებას“ შიგნიდან. თუმცა ამას არ ველოდები. ყველაზე რეალისტური სცენარია, მოიგონ ორი ქალაქი დასავლეთ საქართველოში. ამის იქით საქმე ვერ წავა, თუნდაც გახარიას ფაქტორის გათვალისწინებით, რომლის ამომრჩეველი ნაცმოძრაობას ხმას არ მისცემს, მით უმეტეს – გახარიას განცხადების შემდეგ.

***– ბევრმა ექსპერტმა, მათ შორის „ოცნების“ ყოფილმა წევრებმა, მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმრად მონათლეს. თქვენთვის რამდენად არის ის პოლიტპატიმარი?***

– ჩემთვის ამაზე გადამწყვეტი სიტყვა ექნება იმავე სტრასბურის სასამართლოს. ნიშანდობლივია, რომ „ოცნების“ ყოფილი წევრები ახლა აქტიურობენ და მიშას იცავენ. ჩემთვის ეს, ერთი მხრივ, გაუგებარია, მაგრამ, მეორე მხრივ, გასაგებია. ამ ეტაპზე მიშა დამარცხებულია და ციხეში ზის, თუ მისმა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში, მაშინ გმირად იქცევა. მერე აღარავის გაახსენდება მის წინააღმდეგ პროცესები, სტრასბურსაც აღარ დაელოდებიან, ისე გამოუშვებენ. წესით, იქით მივდივართ, რომ „ოცნება“ მოიგებს ძირითად ქალაქებს. ნაცმოძრაობამ ორი-სამი ქალაქიც რომ მოიგოს, ეს სიტუაციას მკვეთრად შეცვლის და „ოცნებას“ სერიოზულად მოარყევს. მოდით, დაველოდოთ მეორე ტურს.

# კალაძე: „მიშა იმყოფება იქ, სადაც უნდა იყოს“



– მიშას აუცილებლად ექნება თავისუფლება მას შემდეგ, რაც სასჯელს მოიხდის.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ მედიასთან განაცხადა, რითაც საქართველოს მესამე პრეზიდენტთან დაკავშირებით დასმულ კითხვას უპასუხა.

კახა კალაძის თქმით, მიხეილ სააკაშვილი იმყოფება იქ, სადაც უნდა იყოს.

– მიხეილ სააკაშვილს კონკრეტული დანაშაული აქვს ჩადენილი. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს ნამდვილად არ მიხარია ვინმეს დაკავება, არ მიხარია ვინმეს ციხეში გამოკეტვა, ისე, როგორც არ მიხაროდა კონკრეტული ოჯახების გაუბედურება, არ მიხაროდა კონკრეტული ახალგაზრდების მკვლელობები, არ მიხაროდა 26 მაისს სახურავზე შემოყრილი გარდაცვლილი ადამიანების გვამები. რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან მძიმე.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სააკაშვილი იმყოფება იქ, სადაც უნდა იმყოფებოდეს და ჩვენ ბოლო დღეების განმავლობაში ვისმენთ – „თავისუფლება მიშას“. მიშას აუცილებლად ექნება თავისუფლება მას შემდეგ, რაც სასჯელს მოიხდის, – აღნიშნა კალაძემ.

# „ყურადღებით ვაკვირდებით სააკაშვილის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს“

## კელი დეგნანის განცხადება

– ვაშინგტონი და ამერიკის საელჩო საქართველოში ყურადღებით აკვირდება მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა განუცხადა.

– სააკაშვილის პოლიტიკურ პატიმრობაზე მე ვერ ვისაუბრებ. ძალიან ბევრი ქართველი ვიცი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის სიტუაციაზეა ფოკუსირებული, შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ აშშ ვაშინგტონში და ჩვენი საელჩოც მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით ვაკვირდებით.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ არჩევნების მეორე ტურზეც ვიყოთ ფოკუსირებული და პარტიების მხრიდან არჩევნებზე, ამომრჩეველთან ურთიერთობებზე, პროგრამების, იდეებისა და პლატფორმების გაცნობაზე მოხდეს ყურადღების გადატანა. აუცილებელია, მომდევნო რამდენიმე კვირა იყოს ძალიან მშვიდი.




კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობას ყურადღებით ვაკვირდებით. არ ვარ დარწმუნებული, რომ ოდესმე გავბედავ იმის თქმას, თუ რას ნიშნავს ნორმალური პოლიტიკა საქართველოში. ჩემი მხრიდან მართებული არ იქნება იმის თქვა, რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, თუმცა ვიტყვი, რომ ამომრჩევლებს იმის საშუალება უნდა მიეცეთ, რომ კანდიდატებს მოუსმინონ და გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი, – თქვა კელი დეგნანმა.

# 30 ოქტომბერს თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური 5 თვითმმართველ ქალაქში, 15 მუნიციპალიტეტსა და 24 საარჩევნო ოლქში გაიმართება

30 ოქტომბერს 5 თვითმმართველ ქალაქში, 15 მუნიციპალიტეტსა და 24 საარჩევნო ოლქში მუნიციპალიტეტის არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, მოქალაქეები 20 მერს და საკრებულოების 42 მაჟორიტარ წევრს აირჩევენ.

„შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა უკვე დაიწყეს მზადება არჩევნების მეორე ტურისთვის. მეორე ტურზე ამომრჩევლებს 1830 საარჩევნო უბანი მოემსახურება. ასევე მეორე ტურზე ამომრჩევლებისთვის არის შექმნილი გამონაკლის შემთხვევაში 8 უბანი. შექმნილია სპეციალური უბნები სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

2 ოქტომბრის მსგავსად, 30 ოქტომბერსაც




სრულად დაცული იქნება კოვიდრეგულაციები. თვითიზოლაციაში მყოფმა ამომრჩევლებმა, რომლებიც შესაბამისი უწყების მონაცემთა ბაზაში ფიქსირდებიან და ტერიტორიულად იმყოფებიან იმ საარჩევნო ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სადაც არიან რეგისტრირებული, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიზნით, გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნით 23 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით უნდა მიმართონ ცესკო-ს კონტაქტჰაბს ტელეფონის ნომერზე 2 51 00 51 (შიდა ნომერი 0)“, – აღნიშნავენ ცესკოში.

ცესკოს ცნობით, მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს უფლებამოსილების ვადა უგრძელდებათ მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადების ამოწურვამდე, რეგისტრაციის ვადა უგრძელდებათ რეგისტრირებულ სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციებსაც. მათ უფლება აქვთ, არჩევნების დღემდე, არაუგვიანეს მეხუთე დღისა, განახორციელონ ცვლილებები და დაამატონ დამკვირვებლები და მედიაწარმომადგენლები.

ცესკო მიმართავს მოქალაქეებს, იაქტიურონ და მიიღონ 30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თუ „ოცნება“ ნაციონალებით ჩანაცვლდა, სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება“

## სალომე სამადაშვილი: „სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება შიდაპოლიტიკურ კონფლიქტს გააღრმავებს“



იაგო ნაცვლიშვილი

**რა ეტაპზე გადავიდა ქართული პოლიტიკა? რა გზავნილია მასშტაბური აქცია ხელისუფლებისთვის და რა გზავნილია დასავლეთისთვის? ხედავს თუ არა რისკს, რომ მივდივართ ხელისუფლების ისევ ერთპარტიულად ჩანაცვლებისკენ და რა გარანტიაა, რომ სასამართლო სისტემას ახალი ხელისუფლებაც არ გადაიბარებს? — ამ და სხვა საკითხებზე საპარლამენტო ფრაქცია „ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ წევრი სალომე სამადაშვილი საუბრობს.**

***— ვნახეთ მრავალრიცხოვანი მიტინგი თავისუფლების მოედანზე, საპასუხოდ ხელისუფლებისგან ვნახეთ ცოცხების „პერფორმანსი“, რუსთავის ციხესთან მიშას გაუმართეს აქცია. ალბათ გიჩნდებათ განცდა, რომ ამ ყველაფრის უკან ხელისუფლებაა. რა ეტაპზეა ქართული პოლიტიკა?***

— მე ვფიქრობ, რომ ძალიან სახიფათოა ქვეყნისთვის ეს სტრატეგია და ტაქტიკა, თუ ეს აირჩია ხელისუფლებამ და კონტრაქციებით შეეცადა ვითარების მართვას. ეს სხვას არაფერს გააკეთებს, გარდა იმისა, რომ გააღრმავებს ჩიხს და გამოიწვევს მეტ პოლარიზაციას, რაც შეიძლება ქვეყანაში სრული ქაოსისა და არეულობის მიზეზი გახდეს. ეს არის სწორედ ის მთავარი ამოცანა, მათ შორის რუსეთის, რომ ჩვენს ქვეყანაში გაღრმავდეს კრიზისი და ქაოსი, რადგან ეს ყველაფერი ქვეყანას ართმევს ეკონომიკას და დიდი ხნით – პერსპექტივას. ამიტომ, მე ვფიქრობ, ხელისუფლებას ორი გადაუდებელი ამოცანა აქვს. ერთი – სანამ სააკაშვილის გათავისუფლებისთვის გამოიძებნება იურიდიული გზა, ამ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ჯანმრთელობის მდგომარეობას, რადგან ამაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება.

***— საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვთ?***

— არ ვიცი. პირველ რიგში ველოდებით ექიმების კონსილიუმის აზრს, რომელიც შევიდა საპყრობილეში და ამის შემდეგ ხელისუფლებამ საზოგადოებას უნდა წარუდგინოს გეგმა, რას აპირებს მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მე მგონი, ყველას გვესმის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებამ შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს შიდაპოლიტიკური კონფლიქტი.

მეორე მთავარი მნიშვნელობის საკითხია ის, რომ არანაირი კითხვის ნიშნები არ არსებობდეს მეორე ტურებთან მიმართებით. მეორე ტურებმა უნდა შექმნას ნდობა შედეგებთან დაკავშირებით, იმიტომ რომ, თუ მეორე ტურებზე გაჩნდება განცდა, რომ ხელისუფლება ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას წინ აღუდგა, ესეც კრიზისს შექმნის.

***— ისე აღარ უნდა ჩატარდეს, როგორც პირველი ტური?***

— ცხადია.

***— გაქვთ იმედი, რომ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება თუ იმაზე მიუთითებთ, რომ შედარებით მაინც თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს?***

— ოპოზიციას ექნება უკეთესი პოზიციები, რადგანაც ბევრად ნაკლები კანდიდატია და რესურსების კოორდინაციის მართვა ბევრად უკეთესად შეიძლება. გარდა ამისა, ცხადია, უფრო მარტივი იქნება. მე არ მაქვს ხელისუფლების კეთილგონიერების იმედი, მაგრამ, ვფიქრობ, საერთაშორისო პარტნიორები ზეწოლას გააძლიერებენ ხელისუფლებაზე, რომ მეორე ტურებში სხვანაირი არჩევნები ვნახოთ, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და თავისუფალი ნების გამოხატვას. ამის საწინააღმდეგოდ წასვლა ასეთ ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში ხელისუფლებისთვის ძალიან სახიფათო იქნება.

***— რას ცვლის მასშტაბური აქცია — ხალხის გამოსვლა და ამის დემონსტრირება დღევანდელ პოლიტიკაში და დასავლელი პარტნიორების მოქმედებაში?***

— ადრეც ვთქვი, არ მქონია განცდა, რომ ამ აქციის შემდეგ სააკაშვილს ვინმე გაათავისუფლებდა, მაგრამ აქციის სახით საზოგადოებრივი აზრის გამოხატვას აქვს მნიშვნელობა იმისთვის, რომ დემონსტრირება გაუკეთოს საზოგადოების დამოკიდებულებას.

ეს მნიშვნელოვანია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვისაც, რადგან მათ უნდა დაინახონ, რას ფიქრობს ხალხი. თუ არანაირი რეაქცია არ არის... აქ მარტო სააკაშვილის დაპატიმრებაზე არ არის საუბარი. არჩევნებსა და მათ შორის იმავე მოსმენებზეც შემიძლია გითხრათ, რომ ამას საზოგადოება მეტ-ნაკლებად მშვიდად შეხვდა, რაც გამაოგნებელი დარღვევაა. დასავლეთიც უყურებს და, თუ ხედავს, რომ საზოგადოება რაღაცას ეგუება, ცხადია, ჩვენ ნაცვლად მოქმედებას არავინ დაიწყებს.

***— ის წერილი, რომელიც ევროპარლამენტარებმა გამოაქვეყნეს, ამას უკავშირდება თუ ეს ისედაც მომწიფებული იყო?***

— მართლმსაჯულების თემაზე დიდი ხანია ჩვენი მეგობრები საუბრობენ და ეს პრობლემა დგას დღის წესრიგში. უბრალოდ, სააკაშვილის თემამ კიდევ უფრო გამოააშკარავა, რომ ეს საკითხი ქვეყანაში ძალიან აქტუალურია.

***— მეორე მხრივ, ადამიანების ნაწილს დღესაც აქვს პროტესტი სააკაშვილის მიმართ, იმ სისტემის მიმართ, რომელიც მის დროს იყო და, პრინციპში, დღესაც გრძელდება. ალბათ აქვთ პროტესტის გამოხატვის უფლება, მაგრამ აქ ზღვარი სად გადის სახელმწიფოებრიობასა და აზრის გამოხატვას შორის?***

— სად გადის და – დამოუკიდებელ სასამართლოზე. სამწუხაროდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა მისი სანდოობისთვის, არადა, 9 წელი ჰქონდა ამისთვის. სახელმწიფოში არავის არ უნდა აპატიმრებდნენ და ათავისუფლებდნენ იმის მიხედვით, რას ფიქრობს ხალხი. საზოგადოებრივი აზრი არ უნდა მართავდეს სამართლებრივ პროცესს. „ოცნებამ“ მიიყვანა სახელმწიფო იმ მდგომარეობამდე, რომ ფუნდამენტი, რომელზეც უნდა იდგეს ის, დამოუკიდებელი სასამართლო, არ არსებობს. ამის გამო ვართ ჩიხში, თორემ, სასამართლოს მიმართ ნდობა რომ არსებობდეს, მერწმუნეთ, საზოგადოებასაც სხვა რეაქცია ექნებოდა. საერთაშორისო პარტნიორებსაც რა ექნებოდათ სათქმელი, თუ სანდო და დამოუკიდებელი სასამართლო დადებს გამამტყუნებელ განაჩენს თუნდაც ყოფილი პირველი პირის მიმართ?! ვერავინ ვერაფერს იტყვის, მაგრამ, როდესაც სასამართლო სისტემა არ არსებობს და არანაირი ნდობა არ აქვს მას, ეს არის პრობლემის საფუძველი და პრობლემის ფესვი სწორედ ამაშია.

***— რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ახალი ხელისუფლება ამ სისტემას ისევ არ გადააბირებს, როგორც ეს „ოცნებამ“ გააკეთა და ხედავთ თუ არა ერთპარტიული მმართველობის რისკს ხელისუფლების შეცვლის პირობებშიც?***

— ამიტომ არ უნდა იყოს ერთპარტიული მმართველობა. არა მხოლოდ საფრთხე არსებობს, არამედ, თუ შედგა ერთპარტიული მმართველობა და „ოცნება“ ერთპარტიულად ჩანაცვლდა, დარწმუნებული ვარ, სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება.

***— ვერ ხედავთ რისკს, რომ ერთპარტიული ჩანაცვლებისკენ მივდივართ?***

— მე ვერ ვხედავ ამ რისკს. არავის აქვს ისეთი მხარდაჭერა, რომ ერთპარტიულად შეძლოს ხელისუფლებაში მოსვლა. მაგრამ დემოკრატიული და პროდასავლური კოალიციის მოსვლა სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც 30 წლის განმავლობაში მივიღეთ, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, შეექმნა ფუნდამენტი, რომელზეც უნდა იდგეს სახელმწიფო დამოუკიდებელი სასამართლოს სახით. სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებების ბოროტად გამოყენება ყველა ხელისუფლების პირობებში გვაქვს ნანახი და, თუ ეს არ დასრულდება, ამ ქვეყანას არ აქვს არანაირი პერსპექტივა და არც პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია მოხდება.

ამიტომ სჭირდება ქვეყანას შემდეგი ხელისუფლება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება დემოკრატიული კოალიციით, რომელსაც თავის თავშივე ექნება ურთიერთდაბალანსების ის მექანიზმები, რომლებიც ნორმალურ ქვეყანას აქვს, ძალაუფლების პრინციპებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, დრო დასჭირდება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნას. მეტიც, რეალური საპარლამენტო, ძლიერი რესპუბლიკის შექმნასაც დრო დასჭირდება, ამიტომ, ჩემი აზრით, დღეს კოალიციური მმართველობა ერთადერთი გამოსავალია იმისთვის, რომ ერთპარტიული ტირანიისგან თავი დავიცვათ.

# სუსის თანამშრომელი გაქურდეს



გუშინ, 17 ოქტომბერს, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია მარნეულში სუსის მაღალჩინოსნის ბინის გაქურდვის შესახებ.

ინფორმაციის მიხედვით, მოპარულია მეხსიერების ბარათები, სადაც ე.წ. საიდუმლო ფაილები ინახებოდა. ასევე წაღებულია 2 ტაბელური იარაღი, ოქროეულობა, ფული.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ძალოვანი უწყების თანამშრომლები მთელი დღის განმავლობაში მუშაობდნენ და აწარმოებდნენ საგამოძიებო მოქმედებებს. მათ უკვე ამოიღეს სათვალთვალო კამერების ჩანაწერებიც, თუმცა ჯერჯერობით დამნაშავე პირები დაკავებული არ არიან.

აღნიშნულთან დაკავშირებით გუშინვე სუსმა განმარტება გააკეთა.

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია მარნეულში მომხდარი ქურდობის ფაქტის შესახებ.

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის სახლი გაქურდეს სიმართლეს არ შეესაბამება. ასევე სრული სიცრუეა თითქოს ქურდობისას სახლიდან გაქრა სამსახურებრივი მეხსიერების ბარათი.

გაქურდულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონალური დანაყოფის ერთ-ერთი თანამშრომლის ოჯახის კუთვნილი სახლი. საცხოვრებელი სახლიდან წაღებულია საოჯახო ნივთები.

ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მიტროპოლიტი შიო: „სახარებაში არ წერია, რომ ყველას ყველაფერი უნდა ვაპატიოთ“

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, ქორეპისკოპოსმა შიომ (მუჯირი) საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, რომ დღეს საყოველთაო შერიგებაზე საუბრისას ქრისტიანულ სწავლებას არასწორად განმარტავენ.

სასულიერო პირის თქმით, სახარებაში არ წერია, რომ ჩვენ ყველას ყველაფერი უნდა ვაპატიოთ, ყოველთვის ყველას უნდა შევურიგდეთ.

– ბოროტება ჩვენ უნდა აღვკვეთოთ და შევაჩეროთ, ჩამოთვლილი ხერხების გარდა, ზოგჯერ სამართლიანი სასჯელითაც.

დღეს რომ არის საუბარი საყოველთაო შერიგებაზე, სხვათა შორის, ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას, ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო, ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე. ასეთი რამ სახარებაში არ გვიწერია ჩვენ.



გარდა იმისა, რომ სამართლიანი სასჯელითაც უნდა აღიკვეთოს ბოროტება, ასევე ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევებში, უნდა მოვიკვეთოთ ჩვენ ასეთი ადამიანი, – განაცხადა მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი).

# ქვეყანაში მოსახლეობის 17%-მდე საარსებო შემწეობას იღებს — რეგიონები, სადაც ყველაზე მეტად გაღარიბდა მოსახლეობა

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. სტატისტიკა მზარდია არა მხოლოდ წლიურ, არამედ თვიურ ჭრილშიც.

კერძოდ, სტატისტიკური მონაცემებით, 2021 წლის სექტემბერში საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვი 628.156-ს შეადგენდა, რაც მთლიანი მოსახლეობის 16,8%-ს შეადგენს. 2020 წლის სექტემბერში კი ეს მაჩვენებელი 502.258 ადამიანი იყო.

რაც შეეხება 2021 წლის თვიურ მონაცემებს, საარსებო შემწეობის მიმღებ ადამიანთა რაოდენობა მიმდინარე წელს თვეების მიხედვით, ასე გამოიყურება:

იანვარი – 532.242, თებერვალი – 535.516, მარტი – 541.764, აპრილი – 545.623,

მაისი – 551.638, ივნისში – 555.657, ივლისი – 622.266, აგვისტო – 622.923

სექტემბერი – 628 156

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ მონაცემებს რეგიონების მიხედვითაც:

თბილისში 2021 წლის სექტემბერში საარსებო შემწეობას 128.621 ადამიანი იღებდა, ეს მაშინ, როდესაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში უკიდურესად გაჭირვებული 106.253 ადამიანი იყო რეგისტრირებული;

იმერეთი – მიმდინარე წლის სექტემბერში – 81.370 ადამიანი – გასული წლის ანალოგიურ პერიოდში – 65.388;

ქვემო ქართლი – 2021 წლის სექტემბერში 74.810 ადამიანი – 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში – 56. 033;

სამეგრელო-ზემო სვანეთი – მიმდინარე წლის სექტემბერში 73.846 ადამიანი – გასული წლის სექტემბერში – 63.433;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – 2021 წლის სექტემბერში 68.999 ადამიანი – 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში – 49.478 ადამიანი;

კახეთი – 2021 წლის სექტემბერში 64.833 ადამიანი იღებდა შემწეობას, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 51.304;

შიდა ქართლი – მიმდინარე წლის სექტემბერში 56.864 ადამიანი – გასული წლის სექტემბერში – 47. 003;

გურიაში 2021 წლის სექტემბერში 27.031 ადამიანი იყო სიღარიბის ზღვარს მიღმა, 2020 წლის სექტემბერში – 21.322;

სამცხე-ჯავახეთი – 2021 წლის სექტემბერში – 18.849 ადამიანი – 2020 წლის სექტემბერში – 13.009;

მცხეთა-მთიანეთი – 2021 წლის სექტემბერში 18.433 სოციალურად დაუცველი იყო, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში – 15.404;

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – მიმდინარე წლის სექტემბერში 14. 500, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში – 13.631.

აღსანიშნავია, რომ ერთ მილიონს აჭარბებს სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობა, ანუ მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ ღარიბია და დახმარებას საჭიროებს. უფრო კონკრეტულად, 2020 წლის მარტში ასეთი ადამიანების რიცხვი შეადგენდა 979.850-ს, დღეის მდგომარეობით კი ბაზაში 1.072.277 ადამიანია რეგისტრირებული.

# წელს ქვეყანაში 14%-მდე ინფლაციაა მოსალოდნელი

წელს ქვეყანაში 14%-მდე ინფლაციაა მოსალოდნელი. ასეთია „თიბისი კაპიტალის“ პროგნოზი.

„ლარის კურსის ძირითადი ეკონომიკური პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით წელს სტაბილურობისა და მომდევნო წელს მცირედი გამყარების, ბრენტის მარკის ნავთობისა და სხვა სასაქონლო პროდუქტების ფასების დაახლოებით დღევანდელ დონეზე შენარჩუნებისა და 2021-2022 წლებში მშპ-ს 10.5 და 6.0-პროცენტიანი ზრდის დაშვებით, ჩვენი პროგნოზი წელს – 13.8, ხოლო მომდევნო წელს სამიზნესთან ახლო ან უფრო დაბალი ინფლაციაა“, – აღნიშნულია კვლევაში.

როგორც ორგანიზაციის კვლევაშია აღნიშნული, სექტემბერში, პირველად მიმდინარე წელს, დაბალი ინფლაცია დაფიქსირდა, თუმცა ჯერჯერობით – მხოლოდ თვიურ ჭრილში.

„საკუთრივ, წლიურმა ინფლაციამ ჯერ კიდევ მაღალი, 12.3% შეადგინა, ხოლო თვე-თვეზე სეზონურად შესწორებული და გაწლიურებული ინფლაცია უარყოფითი 2.5%-ით განისაზღვრა. მოლოდინების შესაბამისად, მაღალი სასაქონლო ფასებისა და ეკონომიკის სწრაფი აღდგენის მიუხედავად, ლარის კურსმა მცირედი დროითი ჩამორჩენით ფასების ზრდა შეაჩერა“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

# „სააკაშვილმა თავის პარტიას ხმები შესძინა, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ უფრო მოუმატა“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „შარლ მიშელის გზა მცდარი აღმოჩნდა“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ლაშა, არჩევნების მეორე ტურის წინ როგორია თქვენი განწყობა, რა მოლოდინი გაქვთ?***

– ერთადერთი პარტია ვართ, რომელმაც ხალხისთვის მიცემული სიტყვა შევასრულეთ და პარლამენტში არ შევედით, დანარჩენი ოპოზიციისგან განსხვავებით. ამის გამო მიიღეს კანონი, რომელიც ჩვენ კომისიის წევრების ყოლის უფლებას არ გვაძლევს საარჩევნო უბნებზე. არ გვქონდა არნაირი მექანიზმი არჩევნების კონტროლის. ამიტომ, პირდაპირ ვამბობ, რომ ბარიერი არ გადაგვალახვინეს.

რაც შეეხება მეორე ტურს, ძალიან რთული გარემოა შექმნილი. ძალიან რთულია არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა.

***– წინასაარჩევნოდ მკვეთრად ორპოლუსიანი გარემო შეიქმნა და ეს გარემო დღესაც აქტუალურია. როგორ შეიძლება, პროცესები განვითარდეს?***

– მე ვფიქრობ, რომ 43% ე.წ. რეფერენდუმის წაგებაში გარკვეული წვლილი შეიტანა სააკაშვილის ფაქტორმა. შეგნებულად გააკეთა თუ შეუგნებლად, ეს სხვა საკითხია. მართალია. ამით სააკაშვილმა თავის პარტიას ხმები შესძინა, მაგრამ, მთლიანობაში, „ქართულ ოცნებას“ უფრო მოუმატა. მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ პარტიაზე იმუშავა და არა – ოპოზიციურ ფლანგზე, რომელსაც ერთიანობაში უფრო დიდი შედეგის დადება შეეძლო.

***– რამდენად შესაძლებელია, რომ სააკაშვილს გახარიაში დაენახა საფრთხე და ამიტომ მიეღო ამჯერად ჩამოსვლის შესახებ გადაწყვეტილება?***

– ჩემთვის გახარია მეორეხარისხოვანია. არა მგონია, ეს ვერსია რეალობას შეესაბამებოდეს, რადგან გახარია არ მუშაობს ოპოზიციურ ხმებზე. გახარიას ამომრჩეველი ძირითადად „ოცნების“ ამომრჩეველია, თუმცა, ცხადია, სააკაშვილმა თავისი აქტიურობით გახარიასაც დაარტყა. ფაქტი ერთია, „ოცნებამ“ უფრო მეტი ხმა მოიპოვა სააკაშვილის ფაქტორის გააქტიურებით. ცხრა წელი ბიძინა ივანიშვილს სწორედ სააკაშვილით ედგა სული. შეიძლებოდა, ასე თუ ისე, ეს ვითარება დასრულებულიყო, რომ არა სააკაშვილის გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ.

***– როგორ გამოიყურება სააკაშვილი ციხეში? პოლიტიკური პროცესისთვის სააკაშვილის ციხეში ყოფნა რას მოიტანს?***

– ერთადერთი რამის თქმა შემიძლია: მე ვისურვებდი, სააკაშვილიც და ივანიშვილიც უახლოეს მომავალში ერთად წარდგნენ სამართლიანი სასამართლოს წინაშე და სწორედ ევროპული სტანდარტის, რეფორმირებულმა სასამართლომ გაარკვიოს სიმართლე მათ შესახებ. საერთოდ, სამართლიან, მიუკერძოებელ სასამართლოს ყველასთვის ვისურვებდი. ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ სამართლიანი სასამართლოსთვის. ამის გარეშე სახელმწიფო, უბრალოდ, არ არსებობს. იმედი მაქვს, ეს კარგად გააცნობიერა სააკაშვილმა. ასევე იმედი მაქვს, ამის გაცნობიერება ძალიან მალე მოუწევს ივანიშვილსაც.

ხსნა არც სააკაშვილშია და არც ივანიშვილში. ხსნა საერთოდ არც არავისში არ არის. 30-წლიანი მოჯადოებული წრიდან რომ გამოვიდეთ, საჭიროა სახელმწიფო სისტემის შექმნა. საჭიროა რეალური დემოკრატიული, დაბალანსებული მმართველობა, რომელიც თავისთავად გულისხმობს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ სასამართლო სისტემას, მიუკერძოებელ პროკურატურასა და ა.შ.

მე არ მჯერა იმ კოალიციის, რომელზეც ახლა ნაციონალური მოძრაობა საუბრობს. ასეთი კოალიციების მეტი რა გვინახავს 2003 წლიდან მოყოლებული. კოალიციით მოვიდნენ ნაციონალური მოძრაობაც და „ქართული ოცნებაც“, მაგრამ, რა მივიღეთ აქედან, კარგად ვნახეთ. ეს ფსევდოკოალიციაა და სხვა არაფერი. ასეთმა სიმბოლურმა კოალიციებმა არაფერი მოგვცა.

***– თქვენ ევროპული ტიპის კოალიციაზე საუბრობთ, რომელიც არჩევნების შედეგების გათვალისწინებით იქმნება.***

– დიახ, რასაკვირველია და არა – წინასწარი შეთანხმებით. ასეთ ერთობას, გნებავთ, კოალიცია დაარქვით, გნებავთ, გაერთიანება და, გნებავთ, ალიანსი. აბსოლუტური უმრავლესობა თუ გაქვს, ამით შინაარსი არ იცვლება. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ამომრჩეველმა უნდა გაითვალისწინოს, თუ სურს დაბალანსებული, ურთიერთკონტროლზე დამყარებული მმართველობა.

***– როგორ ფიქრობთ, არჩევნების მეორე ტურის შემდეგ პოლიტიკური პროცესი დასრულდება?***

– არავითარ შემთხვევაში. მთავარია ვადამდელი არჩევნების მიღწევა, მაგრამ ახლა ეს კიდევ უფრო გართულდა. სიმართლე გითხრათ, უახლოეს მომავალში როგორ უნდა მივაღწიოთ ვადამდელ არჩევნებს, ვერ გეტყვით.

***– გამორიცხავთ?***

– არა, არაფერს არ გამოვრიცხავ. მე ვამბობ, რომ ვადამდელ არჩევნებს ბრძოლა სჭირდება. შარლ მიშელის გზა მცდარი აღმოჩნდა. ჩვენ აღმოვჩნდით ერთადერთი პარტია, რომელიც ამას სწორად პროგნოზირებდა. ფაქტი ერთია, რომ ვადამდელი არჩევნები შარლ მიშელის გზით აღარ მოიპოვება. იმედი მაქვს, ოპოზიცია ახალ გზას მოძებნის ამისთვის. მე მჯერა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

# „14 ოქტომბრის გრანდიოზული აქცია 14 აპრილის აქციას მაგონებს“

## თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილს სასაცილო ბრალდებები აქვს წაყენებული“

მარიამ მჭედლიშვილი

**რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მესამე პრეზიდენტის გათავისუფლების მოთხოვნა დღის წესრიგში რჩება. ამასთან, ყოფილი პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების ოჯახები სააკაშვილის ციხეში დატოვებას მოითხოვენ. 14 ოქტომბრის აქციასა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**



***– დაახლოებით ორი კვირის წინ გამოთქვამდით სურვილს, რომ სააკაშვილისადმი სოლიდარობის აქციები უფრო მასშტაბური იყოს. 14 ოქტომბრის აქციამ დაგაკმაყოფილათ?***

– ეს იყო ძალიან შთამბეჭდავი და გრანდიოზული შეკრება. იქ ოჯახით ვიმყოფებოდი. მანქანა ზედა მხარეს დავაყენეთ. როცა ლეონიძის ქუჩიდან ჩამოვდიოდით თავისუფლების მოედანზე, ცოტა შიშმა შემიპყრო – არ ვიცოდი, რამდენი ხალხი იყო. ცოტა რომ არ იქნებოდა, ცხადია. მაგალითად, 15.000 კაცი არ იქნებოდა საკმარისი. საბოლოოდ, ვნახე, რომ ხალხის უზარმაზარი რაოდენობა მოგროვდა – თავისუფლების მოედანიც სავსე იყო, რუსთაველის პროსპექტზე კი ხალხის ნაკადს ბოლო არ უჩანდა. ამდენი ხალხი ერთად, ძალიან დიდი ხანია, არ მინახავს. ამან მომაგონა 14 აპრილის აქცია.

***– 1978 წლის 14 აპრილს მსვლელობა გაიმართა?***

– ჯერ მსვლელობა იყო, შემდეგ – შეკრება ახლანდელი პარლამენტის (მთავრობის სახლის) შენობასთან. საზოგადოება მაშინ გამოვიდა ქართული ენის დასაცავად. მთავარია, 14 ოქტომბერს რომ ხალხის განწყობა იყო შესაბამისი. იყო საჭირო მუხტი. ეს იყო აქცია არა მარტო სააკაშვილის დასაცავად და გათავისუფლების მოთხოვნით, ეს იყო შეკრება ზოგადად თავისუფლების მხარდასაჭერად და ყველანაირი პოლიტიკური დევნის წინააღმდეგ.

***– ამას გამოეხმაურა მესამე პრეზიდენტი. მან მადლობა გადაიხადა თანადგომისათვის და საზოგადოებას ყოველდღიური აქციებისკენ მოუწოდა.***

– ტემპერატურა არ უნდა დაეცეს. სისტემატური აქციები შესაძლებელია. ფორმებსა და ადგილებს გააზრება უნდა. 30 ოქტომბრამდე მუხტი არ უნდა ჩაცხრეს.

***– ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური როგორ წარიმართება?***

– ხელისუფლება აუცილებლად მოინდომებს გაყალბებას. ოპოზიციამ და მასთან ერთად საზოგადოებამ უნდა დაბლოკოს „ქართული ოცნების“ მხრიდან გაყალბების მცდელობა. ეს არ არის ადვილი ამოცანა, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელია. ვფიქრობ, შესაძლებელია ძალების კონცენტრირება იმ ადგილებზე, სადაც ტარდება მეორე ტურები. კარგია, რომ წელს ოპოზიცია უფრო მობილიზებულია გაყალბების წინააღმდეგ, ვიდრე 2020 წლის არჩევნებზე იყო. 2 ოქტომბრის არჩევნებს (პირველ ტურს) უარყოფითი შეფასება მოჰყვა უცხოელი დამკვირვებლებისგან. განსაკუთრებით საგულისხმოა აშშ-ის საელჩოს მკვეთრი განცხადება. საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა ასევე 14 ოქტომბრის გრანდიოზულ აქციას. უცხოელების მონაცემებით, აქციაზე იმყოფებოდა 60.000 ადამიანი.

***– ბოლო დროს ზოგიერთი მღვდელმთავარი საყოველთაო შერიგების ინიციატივით გამოდის. შუამავლების მისია, მათი აზრით, სასულიერო პირებმა უნდა იკისრონ.***

– როცა ქვეყანაში არის დემოკრატია, არ არსებობს პოლიტიკური დევნა, უსამართლობა, ხელისუფლებას ირჩევენ თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების გზით, იქ საზოგადოება რიგდება. შერიგება დადგება, თუ ამას წინაპირობად დაედება ეს პრინციპები. თუ ხალხსართმევ არჩევანის უფლებას, შერიგება ვერ მოხდება. ხმის უფლების გათელვა სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასია. ქვეყანაში არ უნდა იყოს ადამიანების დევნა პოლიტიკური მოტივებით. სააკაშვილი სწორედ პოლიტიკური მოტივებით არის დაპატიმრებული. მას სასაცილო ბრალდებები აქვს წაყენებული. ერთი ბრალდება ეხება თაიგულის ყიდვას ჰაველის საფლავზე დასადებად. ღარიბაშვილმა ღიად აღიარა, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია. ამით იგი დაგვეხმარა. ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება იცვლება არჩევნებით, ხან ერთი პარტია მართავს, ხან – მეორე. ოპოზიციაში გადასვლა არ უნდა ნიშნავდეს პარტიის გაქრობასა და მისი ლიდერების დაპატიმრებას. რევანშიზმზე გაუთავებელი ლაპარაკიც უადგილოა.

***– ოპოზიციური პარტიები (მათი დიდი ნაწილი) არ შეუერთდნენ 14 ოქტომბრის აქციას.***

– ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ზოგიერთს სულაც არ გაუხარდა, რომ აქცია ასეთი შთამბეჭდავი და და გრანდიოზული გამოვიდა. ეს ოპოზიციონერები იშველიებდნენ სასაცილო მიზეზებს და ვითომ არგუმენტებს. მათ თქვეს, რომ ეს კერპთაყვანისმცემლობაა სააკაშვილის მიმართ. კერპთაყვანისმცემლობაზე ალაპარაკდნენ ის ოპოზიციონერები, რომლებიც თავის დროზე ხელისუფლებაში სააკაშვილთან ერთად იყვნენ და მაშინ მსგავსი აზრები არ გასჩენიათ. საკითხავია, თუ ადრე არ იყო სააკაშვილი მიდრეკილი კერპების შექმნისკენ, მერე რა მოუვიდა?! უკრაინაში გაუჩნდა ეს მიდრეკილება თუ ახლა ციხეში?! ამ ოპოზიციონერების არგუმენტები უცნაურია. როცა საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან, პოლიტიკურ პატიმრობასთან, ეს ცალსახად მიუღებელია. ამ დროს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს დევნილისა და პატიმრის თვისებებს და იმას, მოგწონს თუ არა ის. ეს პოლიტიკოსები სააკაშვილთან ერთად იყვნენ ხელისუფლებაში მაშინ, როცა სხვები იმ ხელისუფლებას ვაკრიტიკებდით. კიდევ ერთი უცნაური მიზეზი გამოითქვა, რომ აქციაზე არ მისულიყვნენ. გაცხადდა, რომ ისინი პასუხისმგებლობას ვერ აიღებდნენ სააკაშვილის მყისიერ გათავისუფლებაზე. აქციის ორგანიზატორებს არსად უთქვამთ, რომ სააკაშვილი 14 ოქტომბერსვე გამოვიდოდა ციხიდან. ასე რომ, ესეც ნონსენსია. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ივანიშვილის რეჟიმისგან გათავისუფლება. აქ საჭიროა ერთიანობა. დანარჩენი – ვინ რამდენ ხმას აიღებს, არჩევნებზე უნდა გადაწყდეს.

***– 30 ოქტომბრის შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები?***

– ზუსტი პროგნოზი შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს საზოგადოებასა და საერთაშორისო მხარდაჭერაზე. გაყალბების წინააღმდეგ მობილიზება ძნელია, მაგრამ, თუ საზოგადოება ამას არ დაუშვებს, ეს იქნება სიგნალი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. მაფიქრებს რუსეთის ფაქტორი. ივანიშვილი თავისით არ მოქმედებს. ის შემსრულებელია. ყველაფრის შემკვეთი არის რუსეთი. არჩევნების გაყალბებაც იქიდან მოდის.

# „სინოვაკითა და სინოფარმით აცრილებს ბუსტერი დოზა არ სჭირდებათ“



ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი ჩინური წარმოების ვაქცინებით აცრილებს მიმართავს. როგორც კულუმბეგოვი წერს, „სინოფარმითა“ და „სინოვაკით“ აცრილებს ბუსტერი ჯერ არ სჭირდებათ.

„სინოფარმი/სინოვაკით აცრილებო, სამედიცინო ჩვენებით ჯერ ბუსტერი არ გჭირდებათ, ვაქცინის „ფაიზერით“ ჩანაცვლების ერთადერთი მიზეზია მხოლოდ მოგზაურობა. დაინდეთ თქვენი ორგანიზმი და უსაფუძვლოდ ნუ შეეცდებით დამატებითი დოზების მიღებას!!! როგორც კი მწარმოებელი კომპანია და ჯანმო ამ ვაქცინებზე ბუსტერის საჭიროებას დაამტკიცებს, აქაც ავტომატურად მოხდება მისი გამოყენება. ახლა მთავარია, ნებისმიერი ვაქცინის ორი დოზით ავცრათ 1-1.5 მილიონი ჩვენი მოქალაქე“, – წერს კულუმბეგოვი.

# ამირან გამყრელიძე: „თუ აცრების რაოდენობა ვერ ავწიეთ, ნოემბერში ისევ დაკეტვა მოგვიწევს“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან გამყრელიძის შეფასებით, არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სკოლების სრულად დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლის საკითხი დღის წესრიგში არ დგას.



როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, თუ მასწავლებელთა და მშობელთა 80% სრულად აიცრება, სასწავლო პროცესის სკოლებში ჩატარებას საფრთხე აღარ დაემუქრება.

– სკოლებში საკმაოდ კარგად იცავენ რეკომენდაციებს, რაც სამინისტროების მიერ არის დაწესებული. სასურველია და სულ მოწოდებაა საჭირო, რომ მეტი მასწავლებელი აიცრას. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა კორპუსი, სხვა პროფესიულ ჯგუფებთან შედარებით, უფრო მაღალი მოცვით არის აცრილი, ეს საკმარისი არ არის. სასურველია, რომ მასწავლებლებში 80%-იან მოცვაზე მივიდეთ ისევე, როგორც ბავშვების მშობლებში. თუ ეს ორი რეკომენდაცია შესრულდება, აიცრებიან მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე სკოლის მოსწავლეთა მშობლების 80%, მაშინ სასწავლო პროცესს არავითარი საფრთხე არ დაემუქრება, – განაცხადა გამყრელიძემ.

რაც შეეხება ე.წ. წერტილოვანი შეზღუდვების შესაძლო დაწესების საკითხს, მისი განმარტებით, ეს საკითხი საკოორდინაციო საბჭოზე განხილული იქნება და ის შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

როგორც ამირან გამყრელიძე აცხადებს, თუ ვაქცინაციის ტემპი არ გაიზრდება, ისევ შეზღუდვების დაწესებაა მოსალოდნელი.

– დღეს მთავარი იარაღი არის აცრა. სამწუხაროდ, ყოველდღიური აცრის რაოდენობა დაცემულია, რაც ძალიან ცუდია. ამიტომ აცრის მაჩვენებელი უნდა გავზარდოთ. ხვალ აცრის მარათონი იწყება ქვეყანაში და ვნახოთ, როგორი იქნება მოსახლეობის დამყოლობა. დავაკვირდებით მიმდინარეობას, თუ აცრების მიმდინარეობა ვერ ავწიეთ, მაშინ საკმაოდ რთული ნოემბერი იქნება და ქვეყანას ისევ შემზღუდავი ღონისძიებების დაწესება მოუწევს. სხვაგვარად ეპიდსიტუაცია ვერ დამშვიდდება, – განაცხადა გამყრელიძემ.

# „13 წლის გოგონას 53 წლის ბაბუის მიერ გაუპატიურების ფაქტი ექსპერტიზამ ვერ დაადგინა“

## ადვოკატ თოდუას განცხადება

13 წლის გოგონას ჩვენების თანახმად, 53 წლის ბაბუა 5 წლის განმავლობაში მასზე სექსუალურად სისტემატურად ძალადობდა. არასრულწლოვნის ჩვენებიდან, რომელიც „ინტერპრესნიუსმა“ მოიპოვა, ირკვევა, რომ ბავშვს ბაბუა საკუთარ ლოგინში, სადაც ასევე მის ტყუპისცალ დას ეძინა, წლების განმავლობაში აუპატიურებდა.

არასრულწლოვანი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დეტალურად ყვება, თუ რა ქმედებებს ახორციელებდა ბაბუა. დაზარალებული აცხადებს, რომ დაახლოებით 8 წლის ასაკიდან მასთან ბაბუა გარყვნილ ქმედებას სჩადიოდა, 10 წლის ასაკიდან კი უკვე სექსუალურ აქტს ამყარებდა.

ჩვენების მიხედვით, ბაბუა შვილიშვილს აფრთხილებდა, რომ მომხდარის შესახებ არავისთვის მოეყოლა, რადგან სამართალდამცავები ორივეს დააკავებდნენ.

მიუხედავად უმძიმესი ბრალდებებისა, დაკავებულის ადვოკატი ზურაბ თოდუა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებს, რომ ეს „ყველაფერი ზღაპარია“ და რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბაბუა ბავშვების დედისგან შურისძიების მსხვერპლია.

– დედის ჩვენების მიხედვით, 2021 წლის 10 ოქტომბერს, საღამოს საათებში, როცა სახლში იმყოფებოდა და ტელევიზორს უყურებდა, რატომღაც მოუნდა, ბავშვებთან ესაუბრა სექსზე, ძალადობაზე, მსხვერპლზე და ა.შ. როცა საუბარს მორჩა, ბავშვებს ჰკითხა, რომელიმეს ხომ არ გქონიათ მსგავსი პრობლემაო. ტყუპებიდან ერთ-ერთმა უთხრა, რომ პაპა უკვე 5 წელიწადია ჩემზე ძალადობსო, დედამ ყველაფერი გამოჰკითხა, ბავშვმა მას საშინელი რაღაც მოუყვა. კერძოდ, შაბათ-კვირას, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისად, ბავშვები ოჯახში მიჰყავდათ, მასზე პაპა ღამე ძალადობდა. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, 8 წლის ასაკიდან 10 წლამდე მასზე პაპამ 30-40-ჯერ იძალადა – ხელებით მის სასქესო ორგანოს ეხებოდა. მისივე ჩვენებით, როცა 10 წლის გახდა, უკვე, როგორც ქალს, ისე ეფერებოდა და სქესობრივი აქტის დამყარებას ჰქონდა ადგილი. ჩვენების მიხედვით, ასეთ შემთხვევას 50-60-ჯერ ჰქონდა ადგილი. ბავშვი ამბობს, რომ მთელი ამ 5 წლის განმავლობაში პაპამ მასზე დაახლოებით 100-ზე მეტად იძალადა.

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ დედა, მეორე დღეს, დაახლოებით შუადღეს, მივიდა პოლიციაში და განაცხადა, რომ მისი ქალიშვილი გაუპატიურებული იყო. ბავშვი დაიკითხა და ის სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წაიყვანეს. ექსპერტმა დაადგინა, რომ საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არ არის, მაგრამ, მიუხედავად მსგავსი მტკიცებულებისა, ის საქმეში წარმოდგენილი არ არის. ბრალდებამ აღნიშნულ ქმედებას გაუპატიურების, ძალადობის, არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის კვალიფიკაცია მისცა. როგორც იცით, დააკავეს 53 წლის პაპა, რომელიც მეორე ჯგუფის შშმ პირია, 32 წელია, მარჯვენა ფეხი საერთოდ არ აქვს და ყავარჯნებით სარგებლობს. ის 74 წლის დედასთან ერთად ცხოვრობს, – აცხადებს თოდუა.



ზურაბ თოდუა

მისივე თქმით, არასრულწლოვნის მიერ ჩვენებაში მოყვანილი ფაქტები რეალობას არ შეესაბამება, ვინაიდან ბავშვები უმეტეს შაბათ-კვირას თბილისში, მამასთან ატარებდნენ.

– ბავშვების მშობლები 2016 წლის ბოლოს განქორწინდნენ, ბავშვების მამამ შექმნა მეორე ოჯახი და 2017 წლიდან თბილისში ცხოვრობს. ბავშვის მიერ მოთხრობილის გაზიარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თუნდაც ორი გარემოების გამო. პირველი, საექსპერტო დასკვნის გამო, რომელიც ადასტურებს, რომ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია. მეორე, მის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების სტატისტიკა არ ემთხვევა რეალობას, რადგან ეს ბავშვები აღწერილი დღეების განმავლობაში პაპასთან არ ყოფილან, რადგან, დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, 2017 წლის იანვრიდან 2020 წლის სექტემბრამდე ხდებოდა მასზე ძალადობა, ამ პერიოდის განმავლობაში კი ეს ბავშვები შაბათ-კვირას პაპასთან სოფელში არ ყოფილან. ისინი ამ შაბათ-კვირების დიდ ნაწილს მამასთან, თბილისში ატარებდნენ, სოფელში კი მაშინ ჩაჰყავდათ, როცა მამა ჩადიოდა სოფელში, – აცხადებს თოდუა.

კითხვაზე, თუ სად იმყოფებოდნენ გაუპატიურების მომენტში ოჯახის დანარჩენი წევრები ან დაზარალებულის დები, ადვოკატი პასუხობს, რომ, ჩვენების მიხედვით, ყველა მათგანს ეძინა.

– ბავშვის ჩვენებით, ორივე დას ეძინა თავის ლოგინში. ღამე, როცა საწოლში ვიყავი, მეპარებოდა პაპა და სექსუალურ აქტს ახორციელებდაო. 8 წლის დას ბებიასთან გვერდით ოთახში ეძინა, ტყუპისცალს კი – მის ლოგინში. ბავშვებმა არაფერი იცოდნენ, პირველად მაშინ გაიგეს, როცა დამ მომხდარის შესახებ დედას უამბო. ერთი დიდი საძინებელია, სადაც პაპას ეძინა, ამავე ოთახში არის კიდევ ორადგილიანი დიდი საწოლი, სადაც ტყუპებს ეძინათ, 8 წლის დას კი ბებიასთან გვერდით ოთახში ეძინა. ჩვენების მიხედვით, სექსუალურ აქტს იმავე საწოლზე ჰქონდა ადგილი, სადაც დას ეძინა, – აცხადებს თოდუა.

კითხვაზე, თუ რას ამბობს არასრულწლოვანი ჩვენებაში, უწევდა თუ არა ის ბაბუას წინააღმდეგობას, ადვოკატი პასუხობს, რომ მას ბაბუა ემუქრებოდა.

– ფაქტი ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდაო, მაგრამ პაპა მეუბნებოდა, ჩვენ ორივე ცოდვილი ვართ და ეს არ უნდა გავამხილოთ, თორემ შენც დაგიჭერენ და მეც, ამიტომ არ ვამბობდი არაფერსო. როცა დედამ ამიხსნა, რომ თურმე მე მსხვერპლი ვყოფილვარ და პაპა მოძალადე და გავიგე, რომ მე კი არ დამიჭერენ, არამედ პაპას, ამის შემდეგ გადავწყვიტე, ყველაფერი მომეთხროო, – განაცხადა თოდუამ.

ადვოკატის თქმით, 53 წლის მამაკაცის ოჯახის წევრებს მომხდარის არ სჯერათ.

– ეს ბავშვი ორ გარემოებას ასახელებს, რომლის მიხედვითაც, 8-დან 10 წლამდე გარყვნილ ქმედებას ჰქონდა ადგილი, 12 წლის ასაკამდე კი – სექსუალურ აქტს. თუკი ექსპერტიზით დადგინდა, რომ სექსუალურ აქტს ანუ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია, მაშინ აშკარად იტყუება. თუ აღნიშნულში ის იტყუება, რატომ უნდა გავიზიაროთ მისი პირველი ნაწილი, რომელიც ექსპერტიზით არ დგინდება?

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მომხდარს კატეგორიულად უარყოფს, ჩემს შვილიშვილებთან ქართულ ტრადიციებზე დამყარებული, როგორც პაპასა და შვილიშვილს შეეფერება, ისეთი ურთიერთობა მქონდაო. დაკავებულის დედა ჯერ გამოკითხული არ არის, მაგრამ ამბობს, თუკი ეს ჩემმა შვილმა ჩაიდინა, ის ციხეში უნდა დალპეს, მაგრამ, თუ ჩემი შვილიშვილი ტყუილს ამბობს, მაშინ დაადგინონ, ვინ დაავალა მას ამის თქმაო.

სწორედ ესაა საინტერესო გარემოება. ბავშვების დედა ძალიან კარგი ქალია, ყველა კარგად ახასიათებს მას, მაგრამ, მოხდა ისე, რომ ცოლ-ქმარი განქორწინა. ის ოჯახის დანგრევას მამამთილს აბრალებდა. პაპა თვლის, რომ რძალმა მასზე შური იძია, – აცხადებს თოდუა.

13 წლის შვილიშვილის გაუპატიურებაში ბრალდებული 53 წლის მამაკაცი სამართალდამცავებმა 12 ოქტომბერს დააკავეს.

ბრალდებულს გორის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

## სიკვდილი ძილში: თბილისში ახალგაზრდა დები ფენტალინით გარდაიცვალნენ

შაბათის ფორმულას ინფორმაციით, დაბინძურებული სინთეტიკური ნარკოტიკით ორი ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა, ერთი კაცის მდგომარეობა კი ამ დრომდე მძიმეა.

შემთხვევა თბილისში მოხდა. გარდაცვლილები დები არიან.

დაბინძურებულ, სიცოცხლისთვის საშიშ ნარკოტიკს ყველგან იყიდი. საქართველოში სრულიად თავისუფლად ყიდის სხვადასხვა ნარკოტიკს რუსული ონლაინ შავი ბაზარი, არსებობს სხვა მრავალი არალეგალური გზაც. ბოლო კვლევების მიხედვით, საქართველოში კიდევ ერთხელ შემოვიდა სიცოცხლისთვის განსაკუთრებულად საშიში ნარკოტიკული საშუალება.

შაბათის ფორმულა, ოჯახის თხოვნით, გარდაცვლილების ვინაობას არ ახმაურებს, თუმცა ოფიციალურად უკვე ცნობილია და ექსპერტიზამაც დაასკვნა, რომ ახალგაზრდა დები ე.წ. სასიკვდილო ნარკოტიკით, ფენტალინით დაიღუპნენ.

ნარკოტიკი მათმა 35 წლის მეგობარმა შეიძინა. ფენტალინი სუნთქვის გაჩერებას და შემდეგ სიკვდილს იწვევს. მეგობარმა კაცმა დების გარდაცვალების შემზარავი ამბავი რამდენიმე დღის წინ, კომიდან გამოსვლის შემდეგ შეიტყო.

სიკვდილი ძილში – ასე ახასიათებენ ფენტანილით გარდაცვალებას. ნარკოტიკი საქართველოს ბაზარზე 2018 წლიდან გამოჩნდა. შაბათის ფორმულას ინფორმაციით, სწორედ ეს სასიკვდილო ნივთიერება აღმოჩნდა კიდევ ორი ორი მეგობრის ნარკოტიკში, რომლებმაც ის საიტიდან შეიძინეს. კლუბში გასართობად წასულებმა, გონება რიგ-რიგობით დაკარგეს და რამდენიმე საათის განმავლობაში სიცოცხლისთვის ბრძოლა მოუწიათ.

მას შემდეგ, რაც ერთი მეგობარი საავადმყოფოდან გამოიყვანეს, სახლში მარტო დარჩენილი ახალგაზრდა ქალი ცუდად გახდა.

ზედოზირების დროს გადარჩენისთვის აუცილებელი მედიკამენტი – ნარკანი, რომელიც საქართველოში ნარკომომხმარებლებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი არ არის. გაიცემა მხოლოდ რეცეპტით, თბილისის მასშტაბით მხოლოდ ერთ აფთიაქში.

ნარკოლოგისთვის გაუგებარია, რატომაა რეცეპტის გამოწერის აუცილებლობა მაშინ, როდესაც ნარკოტიკით ინტოქსიკაციის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

სახელმწიფოს ზედოზირებით გარდაცვლილი ადამიანების სტატისტიკა არ აქვს. იმის გამო, რომ ნარკოტიკი ლეგალიზებული არ არის, არც მისი ხარისხის მონიტორინგი არ ხდება. ნარკოპოლიტიკის ექსპერტის თქმით, ზედოზირების შედეგად ადამიანის გადარჩენა მარტივია, თუმცა ხელისუფლებას ამის ნება არ აქვს.

## რუსთავის ციხეში დაღუპული პატიმრები რომან ქრისტესიაშვილი და ილია ხიპაშვილი სამეურნეო ნაწილში მუშაობდნენ

პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციით, რუსთავის მე-17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაღუპული პატიმრები საპატიმროს სამეურნეო ნაწილში იყვნენ დასაქმებული.

ამასთან, როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, ხანძრის შედეგად დაშავდა პენიტენციარული სამსახურის კვებითი მომსახურების კომპანიის რამდენიმე თანამშრომელიც, რომელთა სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

რაც შეეხება ხანძრის გამომწვევ მიზეზებს, პენიტენციარული სამსახურის ცნობით, ეს ჯერჯერობით დაუდგენელია.

„სპეციალური პენიტენციარული სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით განმარტავს, რომ №17 პენიტენციარული დაწესებულების სამზარეულოში გაჩენილ ხანძარს ორი მსჯავრდებულის, რომან ქრისტესიაშვილისა და ილია ხიპაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა. ორივე მათგანი დაწესებულების სამეურნეო ნაწილში იყო დასაქმებული.

ასევე კვამლის ინტოქსიკაციის შედეგად მსუბუქად დაშავდა კომპანია „ილი ჯგუფის“ (პენიტენციარული სამსახურის კვებითი მომსახურების კომპანია) რამდენიმე თანამშრომელიც, რომელთა ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

დაწესებულების სამზარეულოს ნაწილში აალება, ჯერჯერობით, დაუდგენელი მიზეზების გამო, დაახლოებით, 14:20 საათზე მოხდა. აღსანიშნავია, რომ სამზარეულო მსჯავრდებულების საცხოვრებელი კორპუსიდან მოშორებით მდებარეობს და არ არსებობდა საფრთხე ხანძრის გავრცელების.

მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ასევე ინფორმირებულია იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

ხანძრის გამომწვევი მიზეზების და გარემოებების დადგენა მოხდება მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

## შავშვებთან ავარიაში დაშავებული გიორგი მურადაშვილი გარდაიცვალა

გორი-შავშვების მონაკვეთზე მომხდარი ავარიის შედეგად დაშავებულთაგან კიდევ ერთი ახალგაზრდა გარდაიცვალა.

გიორგი მურადაშვილის ოჯახის გადაწყვეტილებით, დაშავებული კლინიკა „გორმედიდან“ რეანომობილით თბილისში, სამედიცინო ცენტრ „ჯერარსში“ გადაჰყავდათ. პაციენტი აღნიშნულ კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

შეგახსენებთ, 9 ოქტომბერს გორი-შავშვების საავტომობილო გზაზე ქორწილის კორტეჟში მყოფი ერთ-ერთი ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა. შემთხვევის შედეგად ერთი ახალგაზრდა ადგილზევე გარდაიცვალა, 3 კი მძიმედ დაშავდა, რომელთაგან ერთ-ერთი, მიხეილ ვანიშვილი, 9 ოქტომბერს კლინიკაში დაიღუპა.

კიდევ ერთი დაშავებული, გიორგი ცერაძე, ამ დრომდე სტაციონარში რჩება.

„გორმედის“ რეანიმაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაციით, პაციენტს 4 ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, დადებითი დინამიკა შეინიშნება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

## დიდ დიღომში საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან მოზარდი გადმოვარდა

უბედური შემთხვევა მოხდა დიდ დიღომში, სადაც საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან 15 წლის მოზარდი გოგონა გადმოვარდა.

არასრულწლოვანმა მრავლობითი დაზიანება მიიღო, თუმცა, საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც გოგონა ფანჯრიდან იხედებოდა.

## ბათუმში ძმებზე თავდასხმისთვის რ.გ. თბილისში დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბათუმში მომხდარ განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული, ძებნილი პირი – 1974 წელს დაბადებული რ.გ. დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, ღამით, ბათუმში, მეზობლად მცხოვრებ ძმებს – 1972 წელს დაბადებულ ტ.კ.-ს და 1964 წელს დაბადებულ ა.კ.-ს, მათსავე საცხოვრებელ ბინაში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„მიღებული დაზიანებების შედეგად, ტ.კ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილი ა.კ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს რ.გ.-ს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა) დაუსწრებლად ბრალი წარედგინა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დაკავებული რ.გ. პენიტენციარულ დაწესებულებაშია გადაყვანილი“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშა გარდაიცვალა

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ერთ-ერთ ობიექტზე სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მილი ჩამოვარდა და 65 წლის მამაკაცს დაეცა. მან თავზე დაზიანებები მიიღო. მომხდარის შედეგად მამაკაცი 16 ოქტომბერს, დილით, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნულ ინფორმაციას მეტალურგთა, მეშახტე-მაღაროელთა და ქიმიკოსთა პროფკავშირები ავრცელებს. შემთხვევა 15 ოქტომბერს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მოხდა.

„შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც სარემონტო საამქროს თანამშრომელთა ბრიგადა სადემონტაჟო სამუშაოებს აწარმოებდა ქარხნის ერთ-ერთ ძველ ობიექტზე. სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს ესტაკადიდან მილი ჩამოვარდა და 65 წლის ა.გ.-ს დაეცა, რის გამოც თავზე დაზიანებები მიიღო. მომხდარის შედეგად ა.გ. დილით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საწარმოში მოკვლევას ატარებს სახელმწიფო შრომის ინსპექტორი. ორშაბათიდან კი მუშაობას ფაქტის კვლევის კომისია დაიწყებს, რომლის შემადგენლობაშიც ზესტაფონის მეტალურგიული მრეწველობის პროფკავშირის წარმომადგენელიც იქნება შეყვანილი.

საქართველოს მეტალურგიული სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი მაქსიმალურად ეცდება, დადგინდეს მომხდარი ფაქტის მიზეზები და სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს შესაბამისი რეაგირება“, – ნათქვამია პროფკავშირების ინფორმაციაში.

## დიდ დიღომში მოტოციკლეტი მინივენს შეეჯახა

16 ოქტომბერს თბილისში, დიდ დიღომში, თავდადებულის ქუჩაზე, ავარიის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა.

ერთმანეთს მინივენი და მოტოციკლი შეეჯახა, რის შედეგადაც მოტოციკლის მძღოლი დაშავდა.

მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

# პუტინისა და ზელენსკის შეხვედრის პერსპექტივა ჯერჯერობით არ არსებობს



– ჯერჯერობით არ არსებობს რუსი და უკრაინელი ლიდერების ვლადიმერ პუტინისა და ვლადიმერ ზელენსკის შეხვედრის პერსპექტივა, ვინაიდან კიევი მინსკის შეთანხმებებიდან გასვლას ცდილობს, – განუცხადა კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ერთ-ერთ რუსულ ტელეკომპანიას.

რუსი დიპლომატის თქმით, პერსპექტივის არარსებობა უკრაინის ლიდერის ქმედებებითაა გამოწვეული. მან აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმებიდან გასვლას სწორედ უკრაინელი ოფიციალური წარმომადგენლები ცდილობენ.

კრემლის პრესმდივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინა ემზადება „კანონპროექტისთვის ეგრეთ წოდებული გარდამავალი პერიოდის შესახებ, რაც რეალურად კიევის მინსკის შეთანხმებებიდან გასვლას ნიშნავს“.

მინსკის შეთანხმებას მხარეებმა 2014 წელს მოაწერეს ხელი.

ეს იყო სამმხრივი შეთანხმება უკრაინას, რუსეთის ფედერაციასა და ეუთოს შორის.

იგი დონბასში ცეცხლის შეწყვეტასა და კონფლიქტის რეგიონიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანას ითვალისწინებდა.

# ჩინეთმა ჰიპერბგერითი რაკეტა გამოცადა

ჩინეთმა ახალი ბირთვული შესაძლებლობების ჰიპერბგერითი რაკეტა გამოცადა.

პეკინმა რაკეტა ჯერ კიდევ აგვისტოში გაუშვა. მან სამიზნის მიღწევამდე დედამიწას დაბალ ორბიტაზე შემოუარა.

მისმა კოსმოსურმა შესაძლებლობებმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყურადღებაც კი მიიქცია.

ცსს-ს სამი თანამშრომლის განცხადებით, რაკეტა სამიზნეს 32 კილომეტრზე მეტი მანძილით ასცდა. სააგენტოს სხვა ორი თანამშრომლის ინფორმაციით კი „ტესტმა აჩვენა, რომ ჩინეთმა განსაცვიფრებელი პროგრესი განიცადა ჰიპერსონიულ იარაღზე და იყო ბევრად მოწინავე, ვიდრე ამას ამერიკელი ოფიციალური პირები წარმოიდგენდნენ“. ჰიპერსონიულ ტექნოლოგიაზე, ჩინეთთან ერთად, შეერთებული შტატები, რუსეთი და, სულ მცირე, კიდევ ხუთი სხვა ქვეყანა მუშაობს. ჰიპერსონიული რაკეტები, ისევე, როგორც ტრადიციული ბალისტიკური რაკეტები, რომლებსაც ბირთვული იარაღის მიწოდება შეუძლიათ, ფრენისას ხმის სიჩქარეზე ხუთჯერ მეტ სიჩქარეს ავითარებენ.

# ინდონეზიაში მიწისძვრის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა

ინდონეზიის კუნძულ ბალიზე მომხდარი მიწისძვრის შედეგად, სულ მცირე, 3 ადამიანი დაიღუპა და 7 დაშავდა.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, მიწისძვრის სიმძლავრემ 4.8 მაგნიტუდა შეადგინა, მისი ეპიცენტრი კი ბალის საპორტო ქალაქ სინგარაჯას ჩრდილო-აღმოსავლეთით 62 კილომეტრში დაფიქსირდა.

მიწისძვრას ძლიერი, 4.3 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგიც მოჰყვა. მიწისძვრამ ბევრი სამთავრობო და საცხოვრებელი შენობა დაანგრია და დააზიანა.

კუნძულის სამძებრო-სამაშველო სააგენტოს ინფორმაციით, ზიანისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ზუსტდება. კუნძული ბალი, სადაც დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უცხოელი ვიზიტორებისთვის ჩაკეტილი იყო, რამდენიმე დღის წინ ხელახლა გაიხსნა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ლიდერებმა მოიგეს

**შუქურა-დინამო (ბთ) 0:2**

**ფოთი. ფაზისი**

0:1 გაფრინდაშვილი (65), 0:2 აზაროვი (90)

**შუქურა:** შეროზია, გ.გაფრინდაშვილი, ჭანტურია, რეხვიაშვილი, ხმალაძე, კაკაშვილი (ექვთიმიშვილი 82), ვარშანიძე, მუსელიანი (კაბრალი 71), სარდალიშვილი (ინგოროყვა 76), კომახიძე (კვარაცხელია 82), ჯერალდო

**დინამო:** კუპატაძე, ჩაბრაძე (თ.გაფრინდაშვილი 46), მ.კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ტეიდი, ალთუნაშვილი, მამუჩაშვილი, ჯოვინო (ზურაბიანი 83), ჯიღაური (შინდაგორიძე 83), ფანცულაია (ნავალოვსკი 66)

აჭარულ დერბის ფოთმა უმასპინძლა, სადაც ერთმანეთს ქობულეთის შუქურა და ბათუმის დინამო დაუპირისპირდნენ. გია გეგუჩაძის გუნდმა მეტოქეს 2 უპასუხო გოლი გაუტანა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა.

ანგარიში შეხვედრაში თორნიკე გაფრინდაშვილმა მატჩის 65-ე წუთზე გახსნა, მე-2 გოლი კი თამაშის მიწურულს ირაკლი აზაროვმა ძალიან ეფექტური დარტყმით გაიტანა.

29 ტურის შემდეგ შუქურას 25 ქულა რჩება და გათამაშების ცხრილში მე-9 პოზიციაზეა. ბათუმელები 63 ქულით პირველობას ერთპიროვნულად ლიდერობენ.

**დინამო (თბ)-ტორპედო 1:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 სპორკსლედე (7)

**დინამო:** პრიეტო, ბენიო, პაპავა, ხვადაგიანი, სპორკსლედე, მექვაბიშვილი, მოისწრაფიშვილი (კალანდაძე 74), ხარაბაძე (კობოური 90), კუცია (მორჩილაძე 74), მარუშიჩი, ბარნსი

**ტორპედო:** შოვნაძე, ინკუმი (მჭედლიძე 81), მირცხულავა, მუდიმუ, ნადარაია, კარაგუნისი (მახარობლიძე 81), მამასახლისი (რეკიში 71), ცინცაძე, წოწონავა (ჩალაძე 71), ზიდანი, ბუკასი (ვ.ტაბატაძე 86)

ტურში ყველაზე ძველი ქართული დაპირისპირება გაიმართა. დინამო თბილისმა საკუთარ არენაზე ქუთაისის ტორპედო მიიღო და მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა.

ერთადერთი და 3 ქულის მომტანი გოლი მასპინძელთა ნიდერლანდელმა ლეგიონერმა ფაბიან სპორკსლედემ მატჩის მე-7 წუთზე გაიტანა.



დარჩენილ დროში დედაქალაქელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა შეძლეს, მაგრამ რეალიზება – ვერა. უშანსოდ არც ტორპედო გამოიყურებოდა, მაგრამ გოლის გატანა დინამოელთა კარში არ გამოუვიდა.

დინამოს წინააღმდეგ შეხვედრაში დებიუტი ჰქონდა ქუთაისელთა ახალწვეულ ლევან მჭედლიძეს, რომელიც მთავარმა მწვრთნელმა შეცვლაზე შეიყვანა და მოედანზე სულ რამდენიმე წუთი დაჰყო.

მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დინამო თბილისი სატურნირო ცხრილში 56 ქულით მეორე ადგილზეა, ქუთაისის ტორპედო კი 26 ქულით მე-8 პოზიციაზე რჩება.

**საბურთალო-სამგურალი 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 კუხიანიძე (5), 1:1 მანდრიჩენკო (48), 2:1 ტაბატაძე (71პ)

**საბურთალო:** გოშაძე, მალი, კაკუბავა, მუდრაკი, შ.ნონიკაშვილი, ტაბატაძე (შულაია 72), ძებნიაური, ლ.ნონიკაშვილი (კვერნაძე 83), მანდრიჩენკო (კოხრეიძე 72), გოჩოლეიშვილი (ჯგერენაია 64), გულიაშვილი (მამაცაშვილი 83)

**სამგურალი:** ქვილითაია, პატარკაციშვილი, გილმორი, კუხიანიძე (დ.კირკიტაძე 45), ფონიავა, ახვლედიანი (ბუხაიძე 86), ვერულიძე, ქურდაძე, ლექვთაძე (დოლიძე 86), თევზაძე (ამინუ 56), კიკაბიძე

იმის მიუხედავად, რომ წყალტუბოს სამგურალისთვის საბურთალოსთან მატჩი იდეალურად დაიწყო, დედაქალაქელებმა მაინც მოახერხეს საჭირო 3 ქულის მოპოვება.

მე-5 წუთზე წყალტუბოელები სერგი კუხიანიძემ დააწინაურა. ამ ანგარიშის შენარჩუნება სოსო ფრუიძის გუნდმა მეორე ტაიმამდე შეძლო.

48-ე წუთზე დმიტრი მანდრიჩენკომ სხვაობა შეამცირა, ხოლო 71-ე წუთზე სტუმართა კარის მიმართულებით დანიშნული 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად იური ტაბატაძემ გაიტანა, რაც საბურთალოსთვის 3 ქულის მომტანი გამოდგა.

**დილა-სამტრედია 3:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 კაპანაძე (11), 2:0 გაგნიძე (40), 2:1 არაბიძე (45პ), 3:1 კაპანაძე (85)

წინა ტურში აუტსაიდერ შუქურასთან გამანადგურებელი ანგარიშით წაგების შემდეგ დილამ ამ ტურში ერთგვარი რეაბილიტირება მოახერხა აუტსაიდერ სამტრედიის დამარცხებით – 3:1.

მასპინძელთა მხრიდან გოლები ნიკა გაგნიძემ და თორნიკე კაპანაძემ გაიტანეს. ამ უკანასკნელმა საკუთარ აქტივში დუბლი მიითვალა. ერთადერთი გოლი სამტრედიელთა მხრიდან გიორგი არაბიძის ანგარიშზეა.

**თელავი-ლოკომოტივი 2:1**

**თელავი. კავკასიონი არენა**

1:0, 2:0 ფაცაცია (19, 40), 2:1 შონია (53)

თელავმა ლოკომოტივთან დაპირისპირებაში ძალიან მნიშვნელოვანი ქულები აიღო. გიორგი მიქაძის გუნდმა დედაქალაქელებს პირველივე ტაიმში გაუტანა 2 გოლი – დუბლი ვაჟა ფაცაციამ შეასრულა.

მატჩის მე-2 ნახევარში სტუმრებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს – ანგარიშში სხვაობა თეიმურაზ შონიამ შეამცირა. ეს იყო და ეს...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 29 | 18 | 9 | 2 | 61-23 | 63 |
| 2.დინამო (თბ) | 29 | 17 | 5 | 7 | 48-24 | 56 |
| 3.საბურთალო | 29 | 13 | 10 | 6 | 43-30 | 49 |
| 4.დილა | 29 | 13 | 8 | 8 | 35-30 | 47 |
| 5.ლოკომოტივი | 29 | 13 | 5 | 11 | 49-49 | 44 |
| 6.სამგურალი | 29 | 8 | 12 | 9 | 31-35 | 36 |
| 7.თელავი | 29 | 8 | 8 | 13 | 26-41 | 32 |
| 8.ტორპედო | 29 | 5 | 11 | 13 | 24-36 | 26 |
| 9.შუქურა | 29 | 5 | 10 | 14 | 25-40 | 25 |
| 10.სამტრედია | 29 | 4 | 4 | 21 | 26-60 | 16 |

# შავმა ლომმა ევროპის სუპერთასი ბონუსქულიანი მოგებით დაიწყო

პირველმა ქართულმა ფრენჩაიზმა, შავმა ლომმა, პირველ, ისტორიულ მატჩში ისრაელის თელავივ ჰითი 33:10 დაამარცხა.

რაგბი ევროპის სუპერთასის პირველ მატჩში შავმა ლომმა ერთის პასუხად 4 ლელო გაუტანა და ბონუსქულაც დამსახურებულად აიღო.

ქართული ფრენჩაიზის პორველი ქულები სოსო მათიაშვილის ჯარიმას მოჰყვა, ხოლო აკაკი ტაბუცაძემ პირველი ლელო გაიტანა, მოგვიანებით კი სულაც ჰეთ თრიკი გაიფორმა, ერთი ლელო შალვა მამუკაშვილის ანგარიშზეა. მათიაშვილმა, ჯარიმის გარდა, ერთი გარდასახვაც გაიტანა, ხოლო გიორგი ბაბუნაშვილმა ერთი გარდასახვა და ორი ჯარიმა შეასრულა.

შავი ლომი მრავალფეროვნად უტევდა, უპირატესობას ფლობდა შერკინებასა და მოლში, განსაკუთრებით კარგი იყო დაცვასა და კონტაქტის არეში. მეტოქე ჩვენს ჩათვლის მოედანს პრაქტიკულად არ დამუქრებია და ის ერთი საჯარიმო ლელოც სოსო მათიაშვილის უილბლობით გაიტანეს.

„ავჭალაზე“ თამაშში ბურთი სტუმრებმა შეიყვანეს და მოედანზე თავიდანვე ბრძოლა გაჩაღდა. ნელ-ნელა მასპინძლების უპირატესობა გამოიკვეთა და ჯერ ცენტრში ნოდარ ჭეიშვილმა გაჭრა ხაზი, მერე ფრთაზე – დემე თაფლაძემ. რადგან პირველ წუთებზე ლელოს გატანა ვერ მოხერხდა, მათიაშვილმა ჯარიმით ცადა ანგარიშის გახსნა და 48 მეტრიდან მიზანმა უმტყუნა, თუმცა ერთ წუთში შერკინებამ ჯარიმა კარის წინ, 22 მეტრში მოიპოვა და სოსომ მე-11 წუთზე უშეცდომოდ დაარტყა.

მე-15 წუთზე ლელოს ჯერი დადგა. 22-მეტრიანი დერეფნიდან შეტევის შემდეგ გიორგი ბაბუნაშვილმა გრძელი პასით ფრთაზე აკაკი ტაბუცაძე მოძებნა და მას ხელი ველარავინ დააკარა, მათიაშვილმა კი გარდასახა. ტაიმის



შუაში ჰითი ჩვენს ნახევარზე გადმოვიდა და ლელოში ბურთი ფეხით გადაკიდა. მათიაშვილი სიტუაციას აკონტროლებდა და სიტუაციას მშვიდად გააკონტროლებდა, მაგრამ მუხლი დაიზიანა და ვარდნაში ბურთი ხელით კიდით ხაზს იქით გადააგდო. თელავივ ჰითმა საჯარიმო ლელო მიიღო, მათიაშვილმა – ტრავმა და ყვითელი ბარათი. 10 წუთის შემდეგ მოედანზე მის ნაცვლად ლაშა ხმალაძე გამოჩნდა.

კაცნაკლულად მოთამაშე შავი ლომი მაინც დაეუფლა უპირატესობას და მოლით ცადა ლელოს გატანა. პირველ ჯერზე მეტოქემ თავი დაიცვა, 33-ზე ველარავინ შეაჩერა და შალვა მამუკაშვილმა მასპინძელთა მე-2 ლელო გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო, ტაიმის ბოლოს სტუმრებმა და მასპინძლებმა ჯარიმები გაცვალეს და შესვენებაზე 8-ქულიანი უპირატესობით გავედით – 18:10.

მე-2 ტაიმი შავი ლომის კარგი ხელდახელ თამაშითა და ლელოთი დაიწყო. ნიკო აფციაურმა და მერაბ შარიქაძემ პასები არ დააგვიანეს, დემე თაფლაძემ ბოლო მცველი აიყვანა და ბურთი ფეხით შეაცურა, მასზე პირველი ტაბუცაძე იყო და გუნდს მორიგი 5 ქულა შესძინა. ბაბუნაშვილს გარდასახვა გაუცუდდა, თუმცა მალევე შეცდომა გამოასწორა და დაახლოებით 35 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა.

61-ე წუთზე მსაჯმა მიხეილ ორაგველიძე გაასინბინა და კიდევ ერთხელ დავრჩით კაცნაკლული, თუმცა კარგი დაცვით მეტოქეს ჩვენი 5-მეტრიანიდან ჯერ უკან დავახევინეთ, მერე დავაჯარიმეთ. 67-ე წუთზე შერკინებიდან უკვე შავმა ლომმა შეუტია, ჯერ ცენტრისკენ წაიღო ბურთი, მერე მარჯვენა ფრთაზე დააბრუნა და ტაბუცაძემ – თავისი მე-3, ხოლო გუნდისთვის ბონუსის მომტანი მე-4 ლელო გაიტანა. ბაბუნაშვილმა გარდასახა და შავი ლომის ისტორიულ მატჩში საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 33:10.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ქალმა მეუღლის მკვლელობა აღიარა და „ჯოჯოხეთის ალში დაწვა“ უსურვა




დიდ ბრიტანეთში ქალმა მეუღლის მკვლელობა აღიარა, მაგრამ ჩადენილის მონანიებაზე უარი თქვა და გარდაცვლილს „ჯოჯოხეთის ალში დაწვა“ უსურვა.

66 წლის პენელოპა ჯექსონმა სამჯერ დაარტყა დანა თავის 78 წლის მეუღლე დევიდ ჯექსონს. ეს ყოველივე მიმდინარე წლის 13 თებერვალს სომერსეტის საგრაფოს ქალაქ ბეროუში მოხდა. დაჭრილმა მამაკაცმა სამაშველო სამსახური გამოიძახა, ხოლო ცოლმა მათ მოსვლამდე მისთვის რაიმე სახის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე უარი განუცხადა. შედეგად დევიდი დაიღუპა. როდესაც პენელოპა დააპატიმრეს, მას ქმრის სიკვდილი გაუხარდა.

– ახლა უკვე ეს მკვლელობაა და არა მკვლელობის მცდელობა? ოჰო, მშვენიერია, – განაცხადა მაშინ ქალმა.

სახლის ჩხრეკის დროს პოლიციელებმა ტელეფონის აპარატთან იპოვეს ქალის მიერ დაწერილი ბარათი. მასში პენელოპა წერდა, რომ წლების განმავლობაში მეუღლის მხრიდან ოჯახურ ძალადობას განიცდიდა. ამავე დროს, მან აღიარა, რომ დევიდი კარგი მამა იყო.

სასამართლოს წინაშე წარმდგარმა პენელოპამ ბოდიში მოუხადა პროცესის ყველა მონაწილეს მის გამო შექმნილი დისკომფორტისთვის. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ მასთან მიმართებით ქმარმა ძალადობის გამოყენება პირველი ქორწინებიდან შვილის თვითმკვლელობის შემდეგ დაიწყო. ქალმა აღიარა, რომ ხშირად ძილის დროს ბალიშის ქვეშ თავდაცვის მიზნით დანას მალავდა.

– კიდევ ერთი შანსი რომ მქონდეს, იმავეს გავაკეთებდი, თუნდაც ამისთვის 125 მილიონი წლით პატიმრობა მელოდეს, – განაცხადა მან სასამართლოზე.

ამ დროისთვის საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადება

საუდის არაბეთის საელჩო საქართველოში, თბილისში, აცხადებს კონკურსს საელჩოს რეზიდენციის დასუფთავების, დალაგების, შეკეთების, მოწესრიგების სერვისებზე.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე:**

(+995322009504 +995322009505)

# განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# გოგა ბითაძის სუპერმატჩი



გოგა ბითაძემ ნბა-ში სუპერმატჩი ჩაატარა. ინდიანა პეისერსმა, რომლის ღირსებასაც ქართველი ცენტრი იცავს, ნბა-ს მორიგი საგამოფენო მატჩი კლივლენდთან გამართა და, მიუხედავად იმისა, რომ 94:110 დამარცხდა, ბითაძის გულშემატკივრები კმაყოფილი დარჩებიან – ქართველი ცენტრი ინდიანელთაგან საუკეთესო იყო.

ბითაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, მაგრამ მოედანზე 23 წუთი დაჰყო და 18 ქულით კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი დააფიქსირა. გოგამ პერიმეტრიდან 7-დან 4 ბურთი ჩააგდო, საშუალო დისტანციიდან – 3-დან 2. გოგა საჯარიმოს ხაზთან 3-ჯერ დადგა და 2-ჯერ ზუსტად ისროლა. 18 ქულასთან ერთად, ბითაძემ 6 მოხსნა და 3 დაფარება დააგროვა. აღსანიშნავია ისიც, რომ მას მთელი მატჩის განმავლობაში არც ბურთი დაუკარგავს და არც პერსონალური ფოლი მიუღია.

კავალიერსი მეტოქეს პირველივე ტაიმში 13 ქულით გაექცა და უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნა.

ეს გახლდათ ინდიანელთა ბოლო საგამოფენო მატჩი. შემდეგ შეხვედრას გოგას გუნდი უკვე ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში შარლოტ ჰორნეტსის წინააღმდეგ გამართავს.

# ბასილაშვილი მასტერსის ფინალში გავიდა

ბასილაშვილი პირველი ქართველი ჩოგბურთელია, რომელიც ატპ-ს ტურის მასტერსის ფინალში გავიდა.

ინდიან ველსის (საპრიზო ფონდი 9.146.125 დოლარი) ნახევარფინალში მან თავისი მეტოქე მასპინძელი ტეილორ ფრიტცი 7:6; 6:3 დაამარცხა.

პირველი სეტი, რომელიც ზუსტად საათი გაგრძელდა, ბასილაშვილმა ტაიბრეიკზე მოიგო. ორივე ჩოგბურთელი საკუთარ ჩაწოდებას იგებდა, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნიკამ 4:5-ზე და 5:6-ზე 3-ჯერ გადაარჩინა სეტპოინტი, ხოლო ტაიბრეიკზე თავად პირველივე შანსი გამოიყენა.

მე-2 სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა შეხვედრაში ერთადერთი ბრეიკი შეასრულა, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. მეორე სეტის მე-6 გეიმში 29 წლის ქართველმა ამერიკელის ჩაწოდება მოიგო და 4:2 დაწინაურდა, რის შემდეგაც უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია.



ბასილაშვილმა 3 ეისი შეასრულა და მხოლოდ ერთი ორმაგი შეცდომა ჰქონდა, ფრიტცმა 11 ეისი ჩააგდო და 3 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ბასილაშვილს ინდიან ველსის ფინალში გასვლით რეიტინგში მნიშვნელოვანი წინსვლა ელოდება, 36-ე პოზიციიდან 27-მდე აინაცვლებს და 510 ქულა შეემატა.

ფინალში ბასილაშვილის მეტოქე რეიტინგის 26-ე ნომერი, ბრიტანელი კამერონ ნორი იყო.

ისინი აქამდე ერთხელ შეხვდრიან ერთმანეთს და როტერდამის ტურნირზე ქართველმა 0:6, 3:6 წააგო.

შეხვედრა თბილისის დროით გვიან ღამით დაიწყო და მისი შედეგის გამოქვეყნება გაზეთის ამ ნომერში ვერ მოესწრო.

# შედეგები

## 16 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-ლივერპული ...... 0:5
ასტონ ვილა-ვულვზი ...... 2:3
ლესტერი-მანჩესტერი ...... 4:2
სიტი-ბარნლი ...... 2:0
ნორვიჩი-ბრაიტონი ...... 0:0
საუთჰემპტონი-ლიდსი ...... 1:0
ბრენტფორდი-ჩელსი ...... 0:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ფულემი-ქპრ ...... 4:1
ბლექბერნი-ქოვენთრი ...... 2:2
ბრისტოლი-ბორნმუთი ...... 0:2
მიდლსბრო-პიტერბრო ...... 2:0
მილუოლი-ლუტონი ...... 0:2
ნოტინგემი-ბლექპული ...... 2:1
პრესტონი-დერბი ...... 0:0
რედინგი-ბარნსლი ...... 1:0
ჰადერსფილდი-ჰალი ...... 2:0
შეფილდი-სტოკი ...... 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ჰერტა ...... 1:2
დორტმუნდი-მაინცი ...... 3:1
ფიურტი-ბოხუმი ...... 0:1
უნიონი-ვოლფსბურგი ...... 2:0
ფრაიბურგი-ლაიფციგი ...... 1:1
გლადბახი-შტუტგარტი ...... 1:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-კილი ...... 1:1
კარლსრუე-აუე ...... 2:1
ჰაიდენჰაიმი-ზ.პაული ...... 2:4
ჰამბურგი-ფორტუნა ...... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ხეტაფე ...... 0:0
სოსიედადი-მალიორკა ...... 1:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ამორებიეტა-კარტახენა ...... 2:3
ხირონა-უესკა ...... 1:3
ლას პალმასი-ტენერიფე ...... 2:1
მალაგა-სარაგოსა ...... 1:1
ხიხონი-ალკორკონი ...... 1:0

**იტალია. სერია ა**

სპაცია-სალერნიტანა ...... 2:1
ლაციო-ინტერი ...... 3:1
მილანი-ვერონა ...... 3:2

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ლეჩე ...... 1:1
ვიჩენცა-რეჯინა ...... 0:1
კროტონე-პიზა ...... 2:1
პორდენონე-ტერნანა ...... 1:3
კოზენცა-ფროზინონე ...... 1:1
პერუჯა-ბრეშა ...... 1:0
კომო-ალესანდრია ...... 2:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

კლერმონი-ლილი ...... 1:0
ლიონი-მონაკო ...... 2:0

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ტულუზა-ოსერი ...... 6:0
ვალანსიენი-დიუნკერკი ...... 1:3
დიჟონი-ამიენი ...... 1:0
კაენი-ლე ავრი ...... 2:2
კევიი-ნიორი ...... 0:3
ნანსი-გენგამი ...... 2:1
პო-პარიზი ...... 1:0
როდეზი-სოშო ...... 0:1
ბასტია-გრენობლი ...... 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

არსენალი-ზენიტი ...... 2:1
რუბინი-ლოკომოტივი ...... 2:2
სპარტაკი-დინამო ...... 2:2
სოჭი-როსტოვი ...... 3:2

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ფეიენოორდი-ვალვაიკი ...... 2:2
იგლზი-ერაკლესი ...... 4:2
ჰერენვენი-აიაქსი ...... 0:2
პსვ-ზვოლე ...... 3:1
სიტარდი-კამბური ...... 1:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სენ ჟილუა-სერენი ...... 4:2
**სერენის მე-2 გოლი**
**გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა**
ვარეგემი-ანტვერპენი ...... 2:1
ოსტენდე-სერკლი ...... 2:1
სტანდარდი-ლეუვენი ...... 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ადმირა ...... 2:2
კლაგენფურტი-რაპიდი ...... 1:1
ალტახი-ზალცბურგი ...... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-სელტიკი ...... 0:2
რეინჯერსი-ჰართსი ...... 1:1
როსი-სტ.მირენი ...... 2:3
სტ.ჯონსონი-ლივინგსტონი ...... 0:3
ჰიბერნიანი-დ.იუნაიტედი ...... 0:3
დანდი-აბერდინი ...... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გირესუნი-რიზე ...... 2:0
სივასი-ანთალია ...... 2:2
ადანა-მალათია ...... 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-ასტერასი ...... 0:1
პანათინაიკოსი-იონიკოსი ...... 4:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-ლუცერნი ...... 1:1
ციურიხი-ლუგანო ...... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-სლოვაცკო ...... 1:2
ბოლესლავი-ბოჰემიანსი 1905 ...... 4:1
იაბლონეცი-ჩესკე ...... 2:2
სლავია-ლიბერეცი ...... 3:1

**პოლონეთი. ექსტრალიგა**

ლეჩნა-პიასტი ...... 1:1
ნეჩეცა-ლეხია ...... 0:2
გურნიკი-ვისლა ...... 0:1
სლასკი-ჩენსტოხოვა ...... 1:2

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

დიორმოტი-პაკში ...... 2:1
ფერენცვაროში-ზალაეგერსეგი ...... 1:2
ფეჰერვარი-ჰონვედი ...... 2:1
**ფეჰერვარის პირველი გოლი**
**ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-მეტალისტი ...... 1:2
ლვოვი-დინამო ...... 1:4
დნიპრო-კოლოსი ...... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

დეგერფორსი-ჰალმშტადი ...... 2:1
ესტერსტუნდი-მალმიო ...... 0:3
სირიუსი-ვარბერგი ...... 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ლილესტრიომი-კრისტიანსუნდი ...... 0:0
მიოლდე-ტრომსო ...... 3:0

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა


# სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# სამგლოვიარო განცხადებები

## მოუშუშებელი ტკივილი

### მორის ჯიბუტთან განშორების 40 დღე

ვაი, რომ უშენოდ დავრჩით, მორის!

40 დღე მიიწურა, რაც აღარ დააბიჯებს ცის ქვეშეთში ღირსეული მამულიშვილი, პროფესორი მორის ჯიბუტი, სამაგალითო ოჯახის თავკაცი, საყვარელი ლექტორი, ყველასათვის ახლობელი და თანამდგომი. დამწუხრდა ქართული კერა, ფრთამოტეხილი დარჩა მეუღლე – დედა, რომელმაც მამის მაგივრობაც უნდა გაუწიოს შვილებს, შვილებს, რომლებიც მამისებრ ერთგულად დგანან ხალხის სამსახურში. მართალია, ჩვენ ყველა სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ ძალიან ძნელია, როცა სამუდამოდ ეყრები საყვარელ ადამიანს.

ჩემო საყვარელო მორის, შენ ჩემი დედულეთის მშვენება იყავი. დედაჩემი, სონია ჯიბუტი, ამაყობდა საჯიბუტოთი.

სამარადისო ნათელი ადგეს შენს სამუდამო სასუფეველს, შენს სპეტაკ სულს. ვიდრე ვიცოცხლებ, არ დაგივიწყებ.

ნანა დარჩიაშვილი

---

ვახტანგ, თინათინ და დარეჯან კიკნაძეები, გივი კვაჭაძე, ვასილ ბეკოშვილი, ლელა გელაძე და მაია გორგილაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავისა და შესანიშნავი პიროვნების

**ანზორ ტყეშელაშვილის**

გარდაცვალებას.

უსამძიმრებენ და თანაუგრძნობენ მის მეუღლეს, ქალბატონ ია პირველაშვილს, შვილებს ხათუნა და თეა ტყეშელაშვილებსა და მათი ოჯახის წევრებს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 2. მდგომარეობა ჭიდაობაში; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. ექიმის სპეციალობა; 10. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 11. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 12. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 13. ქართველი მოდელიერი ქალი; 16. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 17. უკრაინის პრეზიდენტი; 19. უბანი თბილისში; 21. მეტალურგიაში ნარევი, რომელსაც უმატებდნენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 23. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 6. უცხოელებისა და ყოველგვარი უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. მდინარე ყვარელში; 9. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 20. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 22. თირკმლების ანთება; 24. აეროპორტი კაიროში; 25. ლიეტუვის დედაქალაქი; 26. ჩეხი იუმორისტი მწერალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შოკი; 2. ოდა; 3. ჩოჩიშვილი; 4. ეჯიბი; 5. ბორჩალო; 8. კოლო; 9. პირუეტი; 10. ბაიადერა; 12. ფიასკო; 13. გრაფი; 15. აჭარა.

**თარაზულად:** 1. შავლეგო; 6. სოლფეჯიო; 7. კუკია; 10. ბრიჯი; 11. ალაპი; 13. გაუდა; 14. მზალო; 16. სოდა; 17. იავნანა; 18. არმანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სანჩესი; 2. წყალტუბო; 3. ასტრონომი; 4. წირქოლი; 5. მენდელსონი; 10. ბასტრი; 11. კატმანდუ; 12. რაზდანი; 13. კოსტავა; 16. ბარისტერი; 17. სალივანი; 19. აფხაზეთი; 21. იუანი; 23. შრატი.

**თარაზულად:** 6. სარწყუნისი; 7. ნიორაძე; 8. ბერეტა; 9. ბოტაფოგო; 14. სომბრერო; 15. ყიზილბაში; 18. ბედია; 20. ჭანჭური; 22. იაშვილი; 24. ტუნიკა; 25. გენლაინი; 26. ბატონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 ოქტომბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1383

ევრო — 3.6439

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3123

100 რუსული რუბლი — 4.4075

## ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისათვის




## პოგბამ, შესაძლოა, ზაფხულში მანჩესტერი დატოვოს



პოლ პოგბამ ზაფხულში, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედი დატოვოს და იუვენტუსში დაბრუნდეს, თუმცა მსგავსი ინფორმაცია ადრეც ვრცელდებოდა და მაშინ ეს სიმართლე არ აღმოჩნდა:

– მანჩესტერში ბედნიერი ვარ, მაგრამ მომავალზე საუბარი არ მიყვარს, რადგან ყველაფერი შესაძლებელია და არ მინდა, ვინმეს იმედი გავუცრუო. გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მივიღებ.

## ანსუ ფატის ბარსელონასთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს



ბარსელონის ახალგაზრდა ფორვარდ ანსუ ფატის გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს და მზად არის, კატალონიელების ნებისმიერ წინადადებას დასთანხმდეს, მათ შორის – ხელფასის შემცირებასაც.

ფატიმ განაცხადა, რომ მას სხვა გუნდები არ აინტერესებს, მხოლოდ ბარსელონაზე ფიქრობს და მისი მომავალი ბარსელონასთან არის დაკავშირებული. ფატი მოედანზე რამდენიმე კვირის წინ დაბრუნდა.

## ედენ აზარი: „რეალში ჩემს თამაშს აუცილებლად ვაჩვენებ“



მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი თვლის, რომ მას რეალში თავისი საუკეთესო თამაში ჯერ არ უჩვენებია და ყველაფერი წინ აქვს:

– მინდა, ყველას დავუმტკიცო ჩემი შესაძლებლობები და რეალის გულშემატკივარი ამას იმსახურებს. მინდა, ისინი ჩემით იმედგაცრუებული არ იყვნენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მამაკაცმა ქორწილიდან რამდენიმე დღეში მილიონი დოლარი მოიგო



აშშ-ში მამაკაცმა იქორწინა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ლატარიის ბილეთი იყიდა და მილიონი დოლარი მოიგო.

ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ლექსინგტონის მცხოვრებმა 60 წლის მაიკლ აბერნატმა განაცხადა, რომ იღბლიანი ბილეთი სახლის მახლობლად მდებარე მაღაზიაში ქორწილიდან ოთხ დღეში იყიდა. მან 30-დოლარიანი ბილეთი შეიძინა და იგივე თანხა მოიგო.

აბერნატიმ ირწმუნა, რომ უმართლებდა და იმავე ფასიანი კიდევ ორი ბილეთი შეიძინა. სწორედ მეორე ბილეთმა მოუტანა მამაკაცს მილიონი დოლარის მოგება.

– კინაღამ გონება დავკარგე, როდესაც ბილეთში მილიონი დავინახე, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

მამაკაცის თქმით, მოგებული თანხის ნაწილით მეუღლესთან ერთად თაფლობის თვეს მოიწყობს ფლორიდაში და ვალებს გაისტუმრებს.

– 60 წლის ვარ და ამიტომ დარჩენილ თანხას მომავლისთვის გადავდებ, რომ თავი ფინანსურად უსაფრთხოდ ვიგრძნო, – აღნიშნა აბერნატმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, გამიგია, რომ კეთდება ისეთი ოპერაცია, რომლის შემდეგაც ბავშვები აღარ მეყოლება.

– კი, არსებობს.

– ჰოდა, მინდა, რომ გამიკეთოთ.

– იცი, რას გეტყვი? ასეთი გადაწყვეტილებები ასე სწრაფად არ მიიღება. დღეს აღარ გინდათ ბავშვები, ხვალ მოგინდებათ. წადით სახლში, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ, ოჯახის წევრებს დაელაპარაკეთ, შეუთანხმდით და მერე მოდით.

– მაგაზე უკვე ვიმსჯელეთ.

– მერე?

– ორი წინააღმდეგი, 17 მომხრე.

•••

ქალს ტელეფონზე ურეკავენ და ეუბნებიან:

– ქალბატონო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ქმარი ლუდის რეზერვუარში დაიხრჩო!

– ვაიმეეე! ძალიან ხომ არ უწვალია უბედურს?

– არა, სიკვდილამდე ორჯერ ამოვიდა მოსაშარდად!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, გუშინ თათია გაუპატიურებას გადავარჩინე.

– როგორ?

– დავიყოლიე.

•••

მიხო და მარო საზღვარგარეთ მიდიან. საბაჟოზე მიხოს ეკითხებიან:

– რაიმე ძვირფასი ნივთი ხომ არ მიგაქვთ?

– კი, 80 კილოგრამი ოქრო. გატანა შეიძლება?

– არა, აკრძალულია.

მიხო მაროს მიუბრუნდა და ეუბნება:

– დედაკაცო, ჩემო ოქროვ, რა ვქნა, შენ არ გიშვებენ, ასე რომ, მარტო მომიწევს წასვლა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნუცა თოფურიამ და გიორგი ცხადაძემ ქართველ და უკრაინელ ჯარისკაცებს უმღერეს



მომღერლებმა ნუცა თოფურიამ და გიორგი ცხადაძემ ქართველ და უკრაინელ ჯარისკაცებს უმღერეს.

**გიორგი ცხადაძე:**

– მეამაყება ამბავი, რითაც უკრაინიდან ამ სუპერგოგოსთან ერთად დავბრუნდი.

უკრაინამ ჯარის დღეს აღნიშნა. ამ დღის აღნიშვნა კი სწორედ ოკუპირებული უკრაინის საზღვრებთან გადაწყდა, სადაც ყოველდღე ისვრიან.

მოვინახულეთ ქართველი და უკრაინელი ჯარისკაცები, რომლებიც კვირების განმავლობაში თავიანთ საგუშაგოებს არ ტოვებენ და ისინი სწორედ ქართული სიმღერით ვანუგეშეთ.

## ეთო მიგრიაული იტალიური ჟურნალის გარეკანზე დაბეჭდეს




ქართველი მოდელი ეთო მიგრიაული იტალიური მოდის ჟურნალ „ელლეს“ გარეკანზე დაბეჭდეს.

ლამაზმანი, რომელსაც საკმაოდ წარმატებული სამოდელო კარიერა აქვს, არაერთი ცნობილი დიზაინერის ჩვენებაში მონაწილეობს.

მსოფლიოს წამყვან მოდელებთან ერთად, ეთო მიგრიაული სხვადასხვა ქვეყნის მოდის კვირეულებში მონაწილეობს და მოდის სფეროთი დაინტერესებული საზოგადოებისთვის უახლეს კოლექციებს წარადგენს.

## მერაბ სეფაშვილი 60 წლის გახდა



მომღერალი მერაბ სეფაშვილი 60 წლის გახდა. იუბილეზე მან პანდემიის გამო უარი თქვა. მომღერალს დაბადების დღე ათასობით ერთგულ მსმენელთან ერთად უახლოესმა მეგობრებმაც მიულოცეს.

**მიხეილ ზაქარიაშვილი, კომპოზიტორი:**

– მერაბ, ჩემო კარგო ადამიანო, გილოცავ 60 წლის იუბილეს! შენ ერის საუკეთესო კაცი ხარ! შენ გიყვარს შენი ხალხი და სამშობლო. ბევრი გვილაპარაკია სამშობლოს ბედ-იღბალზე და მინდა, რომ ყველა სურვილი აგსრულებოდეს, რაც კი ჩაგიფიქრებია შენს ხალხზე! ბევრია ბოროტი, მაგრამ შენს სიკეთეს ვერაფერს დააკლებს! სანდროსა და ნიკუშას ბედნიერება და ვიცი, რომ ნინოს ჯანმრთელობა ძალიან გაღელვებს და გაწუხებს. ნუ გეშინია, მეც გადატანილი მაქვს ეგ დაავადება და ყველაფერი კარგად იქნება, ნინო ისევ თავისი ლამაზი ცხოვრებით დაუბრუნდება თავის ლამაზ ოჯახს! მოთმინებითა შენითა მოიპოვებ ყველაფერს საუკეთესოს! გაიხარე, კიდევ ერთხელ გილოცავ!

## მსახიობი ავთანდილ მიქაძე გარდაიცვალა



საქართველოს დამსახურებული არტისტი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ავთანდილ მიქაძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მარჯანიშვილის თეატრმა გაავრცელა:

– საქართველოს დამსახურებული არტისტი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი და თეატრის პროფესიული კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ავთანდილ მიქაძე გარდაიცვალა.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ, 1970 წლიდან დღემდე, იყო ჩვენი თეატრის მსახიობი, სადაც არაერთი დასამახსოვრებელი სახე განასახიერა. წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა, როგორც პროფესიული კომიტეტის თავმჯდომარე.

მარჯანიშვილის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ავთანდილ მიქაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ქურდმა ჩინოსნის სახლში დიდ თანხას ვერ მიაგნო და ბარათი დაუტოვა



ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ ხატაგეონში ქურდმა სახელმწიფო მოხელის სახლში შეაღწია, ფული ვერ იპოვა და მის პატრონს დამცინავი ბარათი დაუტოვა.

ბოროტმოქმედი გადასახადების ამკრეფის ხელმძღვანელის მოადგილის ტრილოჩან სინგხ გაურას სახლში შეიპარა და იმედგაცრუებული დარჩა, როდესაც იქ ვერც მსხვილ თანხას მიაგნო და ვერც ძვირფას ნივთებს. წასვლის წინ მან ბინის პატრონს დაუტოვა ბარათი, რომელშიც ეწერა: „რისთვის კეტავ კარს, თუ იქ ფულს არ ინახავ?!“

ბარათის დასაწერად ქურდმა სახელმწიფო ჩინოსნის საწერკალამი და უბის წიგნაკი გამოიყენა. სახლის პატრონმა ძარცვის შესახებ ორკვირიანი არყოფნის შემდეგ, სახლში დაბრუნების დროს გაიგო.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა უმრაო სინგხმა განაცხადა, რომ ქურდმა სახლიდან 30 ათასი რუპია და რამდენიმე არცთუ ძვირადღირებული საიუველირო ნაკეთობა წაიღო. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 18 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – მრავალი პრობლემა დაგიგროვდათ. მათ დროულად მოგვარებას ნუ დააყოვნებთ. დაწყებული საქმე უთუოდ დღესვე დაამთავრეთ. **კურო** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **ტყუპები** – პოზიტიური დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დღეს დადებით შედეგს გამოიღებს. **ლომი** – შემოქმედებით სფეროში იაქტიურეთ. ახალი მოკავშირეები სულიერი ჰარმონიის შექმნაში დაგეხმარებიან. **ქალწული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **სასწორი** – თავს ბედნიერად და ლაღად გრძნობთ. ყოველი წვრილმანი სიხარულს განიჭებთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად გაქვთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სპონტანურად ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით. **თხის რქა** – სულიერი და ფიზიკური ძალები გემატებათ. სახლში დიდხანს ნუ დარჩებით. **მერწყული** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. საქმიან სფეროში ახალი შესაძლებლობები გამოგიჩნდებათ. **თევზები** – შანსი გეძლევათ, ხელსაყრელი გარიგება გააფორმოთ. ოპტიმიზმი და მელანქოლია ერთმანეთს ენაცვლება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 2. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 9. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 12. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 13. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 15. მღრღნელი ჭიის, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ძვირფასი ლითონი; 6. ქართველი პაროდისტი, მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 7. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 10. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 11. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 21. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 14. რაიმეს განხორციელების, მიმდინარეობის სისწრაფე; 16. რძის პროდუქტი; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 18. სოფელი ხევსურეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

